ახალი სოფლის ბიბლიოთეკა

უცხოეთის თანამედროვე პოლიტიკური მოღვაწენი



№ 4-5



Ж 864

უცხოეთის თანამედროვე პოლიტიკური მოღვაწენი

აგდელ-ქერიმი—მაროკოსა და ტანჟერში (ჩრდილოეთი აფრიკა) საფრანგეთის და ესპანეთის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებულ მავრიტანების ბელადი. ამ აჯანყების მიზანი იყო „რიფების რესპუბლიკის“ დაარსება.



აბდელ-ქერიმმა 1921 წ. ტყვედ წაიყვანა ესპანეთის დამსჯელი რაზმი. 1924 წ. მანვე სასტიკად დაამარცხა ესპანეთის ჯარები. ბოლოს აჯანყებულ რიფების წინააღმდეგ საფრანგეთმა და ესპანეთმა შეერთებული ძალებით გაილაშქრეს. ააწიოკეს და გადასწვეს რიფების სოფლები, ასობით და ათასობით გაწყვიტეს რიფების მოსახლეობა.

აბდელ-ქერიმი, რომ ხალხის ულეტა შეეჩერებია, დანებდა საფრანგეთის და ესპანეთის სარდლობას.

აბდელ-ქერიმი გადასახლეს ერთ მიყრუებულ კუნძულზე, რიფები კი კვლავ განაგრძობენ უთანასწორო ბრძოლას საფრანგეთისა და ესპანეთის ძალმომრეობის წინააღმდეგ.

აღლერი, ფრიდრიხ—ავსტრიელი სოციალ-დემოკრატი, ვიქტორ აღლერის (რომელიც მეორე ინტერნაციონალის ერთი დამაარსებელთაგანი იყო) შვილი.



მსოფლიო ომის დაწყებამდე და მას შემდეგ ომის საწინააღმდეგო აზრებს ჰქადაგობდა. ომიანობის დროს მან ტყვია ესროლა ავსტრიის მაშინდელ მთავრობის მეთაურს შტიურკგს, რისთვისაც მას ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯეს.

ავსტრიის 1918 წლის რევოლიუციამ ის გაანთავისუფლა პატიმრობიდან, ამის შემდეგ ის ერთხანს კიდევ მისდევდა ძველ გზას, მაგრამ მალე შეიცვალა გეზი და რევოლიუციის შემდეგ ის ერთხანს ავსტრიის ბურჟუაზიულ მთავრობის მინისტრადაც კი იყო.

აღლი შაშა—ეგვიპტელი ზომიერი ნაციონალისტი, რომელიც 1921 წელს მთავრობის მეთაური იყო.

ავერესკუ, ალ. მქსანდრე—რუმინელი გენერალი, რომელიც 1918—20 წლამდე რუმინეთის მთავრობის სათავეში იყო. ის დაიბადა 1859 წელს ბესარაბიაში.

ავერესკუმ დაარსა რუმინეთის ყველაზე მემარჯვენე—კონსერვატიული პარტია, რომელსაც „სახალხო პარტია“ ეწოდება. ის 1907—1909 წლებში იყო რუმინეთის სამხედრო მინისტრად და მონაწილეობას იღებდა ბალკანეთის მეორე ომში.

ავერესკუ განთქმულია როგორც შრომელი ხალხის სისხლის მსმელი ჯალათი, რაც მან განსაკუთრებით გამოიჩინა რუმინეთის მიერ დაპყრობილ ბესარაბიის გლეხთა აჯანყების ჩაქრობის დროს.

აინშტეინი, ალბერტ—სახელგანთქმული



ავსტრიელი მეცნიერი. ტომით ებრაელი. პოლიტიკური მიმართულებით კომუნიზმს უახლოვდება. ერთი დამაარსებელთაგანი „ახალი რუსეთის მეგობართა საზოგადოების“.

აშახულა—ხანი—1919 წლიდან ავღანისტანის შაჰი. დაიბადა 1892 წელს. სახელი გაითქვა მოწინავე აზრების ქადაგებით. ცდილობდა თავის ქვეყანაში ბატონ-ყმური წესების მოსპობას, ვაჭრობის განვითარებას. სწავლა-განათლების გავრცელებას და კონსტიტუციურ სამეცდელოების გაფართოების შემცირებას.

ის თავგამოდებით ებრძოდა ინგლისის პოლიტიკას.

მან გაიყვანა რკინის გზა, ტელეგრაფი, შემოიღო ფრენოსობა, მოაწყო მუდმივი ჯარი, გახსნა სკოლები, გამოსცა კანონები ქალთა მოხობიდან განთავისუფლების შესახებ, აკრძალა ბიგამიანობა და სხვა.

საერთოდ მთელი მისი მოღვაწეობა მიმართული იყო ავღანისტანის დამოუკიდებლობისაკენ. მან მეგობრული ხელშეკრულება დასდო საბჭოთა კავშირის მთავრობასთან და ეს ჯერ არ დაუჯდა ინგლისის მთავრობას, რომელმაც მოლაპარაკება და ომი სასულიერო პირების და-

ხმარებით მის წინააღმდეგ მოაწყო აჯანყება. ინგლისის ყოველნაირი დახმარებით აჯანყებულებმა დაამარცხეს ამანულა-ხანი,რომელიც იძულებული გახდა ავღანისტანის შაჰთაბაზე უარი ეთქვა და უცხოეთში წასულიყო.

ეს მოხდა 1929 წელს. მის მაგიერ ავღანისტანის შაჰის ტახტზე ავიდა აჯანყებულთა ერთი ბელადი, ცნობილი ყაჩაღი ბაჩე-საკაო, რომელმაც ქვეყანაში ისევ ძველებური წესები შემოიღო, დახურა სკოლები, განაახლა მრავალცოლიანობა და სხვა.

მაგრამ არც მას იბატონა დიდხანს. ამანულა ხანის ბიძამ ნადირ-ხანმა დაამარცხა ბაჩე-საკაო და სიკვდილით დასჯა, ხოლო მის მაგიერ ავღანისტანის ტახტზე თვითონ ავიდა.

ასკაიტი, ჰენრი—დაიბადა 1852 წელს.



ინგლისის ერთი უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე. ლიბერალური პარტიის მემარჯვენე ფრთის ბელადი—ლოიდ ჯორჯის მოპირდაპირე. 1892—1914 წლამდე, სხვადასხვა დროს იყო მთავრობის წევრად და მეთაუად, 1915 წელს მაისში კი შეადგინა კონსერვატორებისა და ლიბერალების კოალიციური მთავრობა, რომლის მეთაური თვითონ იყო.

ასკვიტი საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის დადებულ ხელშეკრულების დიდი მოწინააღმდეგე იყო.

—:—

გალაბანოვა, ანჟელიკა—კომინტერნის ყოფილი წევრი. ჩამომავლობით რუსი. 1897 წელს გაიქცა საზღვარგარეთ, სადაც შევიდა რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიაში. ის ამავე დროს უახლოეს მონაწილეობას იღებდა იტალიის სოციალისტურ პარტიაში. მსოფლიო ომის შემდეგ ის იტალიის მთელ სოციალისტურ პარტიასთან ერთად დაადგა ინტერნაციონალურ გზას, ხოლო 1919 წელს მონაწილეობას იღებდა ციმერვალდის კონფერენციაში. გალაბანოვა 1918 წელს ჩამოვიდა რუსეთში, 1924 წელს კი ისევ საზღვარგარეთ დაბრუნდა და იტალიაში კომინტერნის წინააღმდეგ მუშაობას მოჰკიდა ხელი.

გალფური არტური — მსოფლიო ომის



დროს ლოიდ-ჯორჯის მთავრობაში იყო საგარეო საქმეთა მინისტრად. ომის შემდეგ ღებულობდა მონაწილეობას ვერსალის ხელშეკრულების დადებაში და ხელშეკრულების დადებამდე მის მონაწილე სახელმწიფოთა წინასწარ მოლაპარაკებაში ჭალაკ პაიზში იღებდა უახლოეს მონაწილეობას.

ბალფური ინგლისის კონსერვატიულ პარტიის ერთი თვალსაჩინო წევრია და 1886 წლიდან უკანასკნელ დრომდე სხვადასხვა დიდი სახელმწიფო თანამდებობანი ეჭირა.

გარგიუსი, ანრი—ცნობილი ფრანგი მწერალი. ომის დროს სახელი გაითქვა თავის რომანებით, რომლებშიაც მან დიდი ოსტატობით ასწერა მსოფლიო ომის საშინელებანი.



ბარბიუსმა შეჰქმნა ომპერიალისტურ ომში დასახიჩრებულთა საერთაშორისო კომიტეტი და თავგამოდებით იბრძოდა თავდასხმების წინააღმდეგ, რომელსაც იმპერიალისტური ქვეყნები აწყობდენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ბარბიუსი 1923 წელს შეიდა საფრანგეთის კომპარტიაში.

გარტელი, მაქს—გერმანელი მუშა კოოპერატისტი. პოეტი-მწერალი. დასწერა მრავალი რევოლიუციონური თხზულებანი, რომელიც გადათარგმნა რუსულ ენაზე.

გარტუ, ჟან-ლუი—საფრანგეთის შავრაზმელ-ნაციონალისტების კავშირის ბელადი. დაიბადა 1862 წელს. რამდენჯერმე იყო მინისტრად. 1913 წელს მეთაურობდა მთავრობას. გენუის კონფერენციაზე იყო საფრანგეთის დელეგაციის თავმჯდომარედ, სადაც თავი ისახელა, როგორც საბჭოთა კავშირის შეურიგებელმა მტერმა.



გაუერ, ოტტო—ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის და მეორე ინტერნაციონალის ბელადი.



მსოფლიო ომის დროს გაწვეული იყო ჯარში, რუსებს ჩაუვარდა ტყვედ და გაგზავნილ იქნა ციმბირში, საიდანაც გაანთავისუფლა კერენსკის მთავრობამ მუშათა დეპუტატების საბჭოს მოთხოვნით.

ის მხარს უჭერდა რუსეთის სოციალ - დემოკრატებს. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ კი საბჭოთა ხელისუფლების ნებართვით ის თავის სამშობლოში დაბრუნდა.

1918 წლის რევოლიუციის შემდეგ იყო ავსტრიის ბურჟუაზიული მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრად.

ბაუერს დაწერილი აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი თხზულება, რომელთა შორის ყველაზე ცნობილია „მარქსიზმი და ეროვნული კითხვა". ეს წიგნი გადმოთარგმნილია რუსულ ენაზე.

ბელა-კუნი—უნგრეთის პროლეტარიატის



ბელადი და 1919 წლის უნგრეთის სახალხო კომისარია საბჭოს თავმჯდომარე.

ომამდე ის უნგრეთის სოციალ - დემოკრატიის პარტიის წევრი იყო, ომის დროს ჯარში გაიწვიეს, ტყვედ ჩაჰარდა რუსეთში, სადაც შეუერთდა რუსეთის რევოლიუციას. სამოქალაქო ომის დროს ბელა-კუნი მუშაობდა როგორც ჟურნალისტი და წითელი არმიის ხელმძღვანელი ჩეხო - სლოვაკების ფრონტზე.

ავსტრო - ჰუნგრეთის რევოლიუციის შემდეგ ის დაბრუნდა სამშობლოში, სადაც სხვა ამხანაგებთან ერთად შექმნა კომპარტია და გააჩაღა მუშაობა, მაგრამ მალე იქნა დაპატიმრებული.

1919 წელს, როდესაც ჰუნგრეთში დაემხო გრაფ კაროლის მთავრობა ბელა-კუნი სათავეში ჩაუდგა საბჭოთა მთავრობას. მრავალი განსაცდელისა და წამების შემდეგ, საბჭოთა რუსეთის მთავრობის მოთხოვნით, ის გაანთავისუფლეს და რუსეთში დაბრუნდა. ბელა-კუნი მონაწილეობას იღებდა ყირიმში ვრანგელის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბელა-კუნი კომინტერნის ერთი დამფუძნებელთაგანია.

ბერნშტეინი, ედუარდ—დაიბადა 1850 წელს ქ. ბერლინში რკინისგზის მემანქანის ოჯახში. ცნობილი გერმანელი სოციალ-დემოკრატი.

მან სახელი მოიხვეჭა, როგორც „რევიზიონისტები“-ს *) მიმართულების მეთაურმა—სოციალ - დემოკრატებს შორის.

ომიანობის დროს კაუტსკისთან ერთად ჩამოაყალიბა „დამოუკიდებელთა“ პარტია, ამჟამად კი გერმანიის სოციალ - დემოკრატიულ პარტიის წევრია.

*) რევიზიონისტები ანუ ოპორტუნისტები დაერქვა სახელად იმ მიმართულებას, რომლებიც მარქსის მოძღვრების ძირითად დებულებებს საეჭვოთ აღიარებენ. მათი აზრით მარქსი შემცდარია კლასთა ბრძოლის გამწვავების საკითხში. რევიზიონისტები ამტკიცებენ, რომ პროლეტარიატის საბოლოო განთავისუფლებისათვის სრულებითაც არაა საჭირო რევოლიუციონური ბრძოლა და პროლეტარული დიქტატურის განხორციელება.

გეტლენი—ჰუნგრეთის მთავრობის ეხლანდელი მეთაური ხორტას სისხლის მსმელ მთა-



ვრობის შემდეგ, რომელმაც ცეცხლით და მახვილით გაანადგურა ჰუნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკა.

გენეშ, ედუარდ—ჩეხო - სლოვაკიის რესპუბლიკის მოღვაწე — ერთი მეთაური და



თაოსანი მცირე ანტანტის (კავშირის), რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაა მიმართული.

გიუკენენი, დუკრუ—ინგლისის ელჩი რუსეთში იმპერიალისტურ ომის დროს. დიდ გავლენას ახდენდა რუსეთის პოლიტიკაზე, ინგლისის იმპერიალიზმის ნება-სურვილს უკარნახებდა მეფის მთავრობას და შემდეგ დროებით მთავრობას. თებერვლის რევოლიუციის დროს 1917 წ. რუსი ოქტიაბრისტები (ბურჟუაზიული პარტია, რომელიც იმ აზრის იყო, რომ მეფე უნდა იყვეს, ოღონდ კონსტიტუციით მოქმედებდეს), გიუკენენთან შეთანხმები, შემდეგ გახდენ მეფის ჩამოგდების მომხრე. როცა გენერალ კორნილოვმა 1917 წ. აგვისტოში პეტროგრადის ასაღებათ გაილაშქრა, გიუკენენმა გადასცა კორნილოვს ინგლისის ჯავშნოსნები. გიუკენენის ბრძანებები კანონი იყო კერენსკისათვის. კერენსკის მიერ 18 ივნისს შეტევა, რომელიც მარცხით დასრულდა, გიუკენენის მოთხოვნით იყო დაწყებული.

გლაგოლევი, დიმიტრი — დაიბადა 1859 წელს, ბულგარეთის სოციალ - დემოკრატიულ პარტიის დამაარსებელი. სწავლობდა რუსეთში, სადაც დაასრულა უმაღლესი სწავლებელი. აქ ის 1880 წ. მიეკედლა ხალხოსნურ მოძრაობას, ხოლო 1883 წელს, როდესაც გაეცნო მარქსის მოძღვრებას — გადავიდა სოციალ - დემოკრატების მხარეზე.



1884 წელს მან დაარსა რუსეთში პირველი სოციალ - დემოკრატიული ჯგუფი, ამის შემდეგ ის ჩქარა დაპატიმრეს და როგორც უცხოელი გადაასახლეს ბულგარეთში. აქ მან დაიწყო მასწავლებლობა და მალე სოციალ-დემოკრატების მხრით აირჩიეს პარლამენტში.

როდესაც პარტიაში განხეთქილება ჩამოვარდა, ის სათავეში მოექცა იმ ფრთას, რომელიც შემდეგ ჩამოყალიბდა კომუნისტურ პარტიად.

ბლაგოევი გარდაიცვალა 1924 წელს.

გოლდუინი, სტენლი — ინგლისის კონსერვატიული პარტიის ბელადი, რომელიც სხვადასხვა დროს იყო მინისტრად. მან, სხვათა



შორის, დასდო ხელშეკრულება ამერიკასთან ინგლისის ვალების გასტუმრების შესახებ.

ბოლდუინი მესაკუთრეა დიდი სავაჭრო დაწესებულების, რომლის თანხა 9 მილიონ გირვანქა სტერლინგს აღწევს.

გრეიგ-ლაიუ — ერთ დროს ინგლისის



მთავრობის თავმჯდომარე, კონსერვატიული პარტიის წევრი. გარდაიცვალა 1923 წელს.

გუმბაჩი, ნიკოლა—დაიბადა 1879 წელს. იტალიის კომპარტიის ერთი ხელმძღვანელთაგანი. მსოფლიო ომის დროს იყო იტალიის სოციალისტური პარტიის მდივნად და ომის წინააღმდეგ გამოსვლისათვის მისჯილი ჰქონდა 2-ნახევ. წლის პატიმრობა. საბჭოთა რუსეთში ჩამოვიდა 1920 წელს კომინტერნის კონგრესზე, როგორც იტალიის კომპარტიის წარმომადგენელი.

გორხარდტი, იულიან — ცნობილი გერმანელი სოციალ - დემოკრატი, მემარცხენე, რომელიც მსოფლიო ომის დროს ხელმძღვანელობდა ინტერნაციონალურ ყოველთვიურ ჟურნალს „სინათლის ხმოვები". საბჭოთა კავშირში ცნობილია, როგორც კარლ მარქსის „კაპიტალის" ხალხურ, უბრალო, ენაზე გადამამუშავებელი.

გუნკური, პოლ — საფრანგეთის სოციალისტების (იქაური მენშევიკების) ერთი ბელადთაგანი. მსოფლიო ომში ის მხურვალე მონაწილეობას იღებდა. ბონკური მეორე ინტერნაციონალის წევრია. ერთა ლიგაში მან დაიწყო კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ — ქართველი მენშევიკების დიდი მეგობარი.



გორა, ვილიამ — ამერიკელი სენატორი,



დემოკრატიული პარტიის წევრი, საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრე.

გრანდლერი, გენრიხ — გერმანიის კომპარტიის ყოფილი მეთაურთაგანი, რომელიც 1923 წელს მემარცხენე სოციალ-დემოკრატებთან კავშირის დროს იყო საქსონიის მთავრობის წევრად. ის დაიბადა 1881 წელს და რევოლიუციონური მოღვაწეობას ეწია 1898 წლიდან.



უკანასკნელ დროს ის მარჯვნივ გადაიხარა, რის გამო პირველად გაკიცხულ იქნა კომინტერნის მიერ; შემდეგ კი სრულიად გაირიცხა მისი შემადგენლობიდან. ამჟამად ბრანდლერი მენშევიკებთან მჭიდრო კავშირის მომხრეა და იბრძვის კომუნისტების წინააღმდეგ, თუმცა თავისი თავიც კომუნისტად მოაქვს.

გრანტინგი ჰაარლ-ალმარ — შვეციის სოციალ - დემოკრატიულ პარტიის ბელადი, კომუნიზმის დიდი მოწინააღმდეგე. ის მეორე ინტერნაციონალის თავლსაჩინო მოღვაწეა. მი-



სი გავლენით 1915 წელს შვეციაში მოეწყო ლიბერალურ - სოციალისტური ძალთობა.

როგორც შვეციის წარმომადგენელი—ბრანტინგი ერთა ლიგის საბჭოს წევრია.

ბრაიტშეიდი, რუდოლფი — გერმანე-



ლი სოციალ - დემოკრატი, ჟურნალ „სოციალისტის“ რედაქტორი.

ბრატიანუ, შან — დაიბადა 1864 წელს. რუმინეთის მთავრობის მეთაური მსოფლიო ომის დროს. ის რუმინეთის ნაციონალურ - ლიბერალურ პარტიის ერთი მეთაურთაგანია. მას სხვადასხვა დროს ეჭირა მინისტრის თანამდებობა. განსაკუთრებით სახელი გაითქვა შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს, როგორც გლეხების ჯალათმა, როდესაც 1906 წელს სისხლში ჩაახრჩო მათი მოძრაობა.



ბრატიანუ ბესარაბიის ხელში ჩაგდების ერთი თაოსანი იყო.

ბრატიანუ, ნინელა — ზემოდდასახელებულ ბრატიანუს ძმა, — რუმინეთის ლიბერალურ პარტიის ბელადი, რომელსაც რუმინეთის პარლამენტის უმრავლესობა ემხრობა. ის ფინანსთა მინისტრად იყო ბრატიანუს მთავრობაში 1922 წელს.

ბრიანი, არისტიდ—დაიბადა 1862 წელს. საფრანგეთის მთავრობის ყოფილი მეთაური, საგარეო საქმეთა მინისტრი ამჟამად. მას სხვადასხვა დროს ეჭირა განათლების, იუსტიციის მინისტრის და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობანი.



გამოჰხარაკებული და გამოცდილი პარლამენტის კომბინაციებში. ის ყოველთვის დაუცხრომელი და დაუძინებელი მტერი იყო და არის საბჭოთა კავშირის.

ბრიზონი, პიერ — ცნობილი ფრანგი სოციალისტი, „შრომის ისტორიის“ დამწერი; ეს წიგნი რამდენჯერმე გამოსცეს რუსულ ენაზე. ბრიზონმა მსოფლიო ომის დროს პარლამენტში გაილაშქრა ომის წინააღმდეგ. 1921 წელს შეეიდა კომპარტიაში, გარდაიცვალა 1923 წელს.

გროკდორფ-რანცაუ—გერმანიის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საბჭოთა კავშირში 1922 წლიდან.



მისმა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო გერმანია-საბჭოთა კავშირის შორის ურთიერთობის დამყარებასა და განმტკიცებას.

გარდაიცვალა 1928 წ.

გურჭუა, ლეონ — ცნობილი შავრაზმელი, სენატორი, სხვადასხვა დროს იყო საფრანგეთში მინისტრად (განათლების, შინაგან საქმეთა, იუსტიციის).



ის საბჭოთა კავშირის დაუძინებელი მტერია.

— : —

განდი — დაიბადა 1869 წ. ცნობილი ინდოელი მოღვაწე, ინდოეთის ეროვნული მოძრაობის მეთაური. მისი მამა ინდოეთის პროვინციის დეკანი (ადგილობრივი გუბერნატორი) იყო. ლონდონში აქეს დასრულებული უმაღლესი სწავლა. ომის შემდეგ დაბრუნდა ინდოეთში და დაარსა ყოველდღიური გაზეთი ინგლისურ ენაზე „ახალგაზრდა ინდოეთი“. აქ ათავსებდა ინგლისის პოლიტიკის საწინააღმდეგო წერილებს, რისთვისაც ციხეში ჩასვეს 6 წლით, მაგრამ ავადმყოფობის გამო ორი წლის შემდეგ გაანთავისუფლეს.



განდის პროგრამის ძირითადი აზრი ასეთია —ეკონომიური ბოიკოტი გამოეცხადოს ინგლისს იმ დრომდე, სანამ ინგლისი ინდოეთს სრული ავტონომიას არ მისცემს.

გარდინგი — ამერიკის პრეზიდენტი ვილსონის შემდეგ. გარდაიცვალა 1925 წ. მდიდარი მრეწველი იყო.

გედი, ჟულ-გაზილი — დაიბადა 1845 წ. საფრანგეთის სოციალისტების ბელადი. ოცი წლიდან ჩაება რევოლუციონურ მუშაობაში. მონაწილეობა მიიღო 1871 წ. რევოლუციაში. პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ მისჯილი ჰქონდა 5 წლის ციხე, მაგრამ გაიქცა შვეიცარიაში, სადაც ინტერნაციონალის სექცია დაარსა. მონაწილეობდა 1 ინტერნაციონალის დაარსებაში. იყო კარლ მარქსის ერთგუ-

ლი მოწაფე მსოფლიო ომამდე, რის შემდეგ უღალატა რევოლიუციონურ სოციალიზმს და გერმანიასთან ომის მომხრე გახდა.

გარდაიცვალა 1929 წ.

ბრეი, ედუარდ — დაიბადა 1862 წ. ლორდი, ინგლისის მთავრობაში მინისტრად და თავმჯდომარედაც ნამყოფი. ლიბეოალების პარტიის ერთი ბელადთაგანი.

ბრუსსი — ცნობილი გერმანელი მხატვარი, რომელიც ასურათებს უმთავრესად თანამედროვე გერმანიის ბურჟუაზიის გახრწნას და დაკნინებას და მუშათა კლასის ბრძოლას. გერმანიის კომპარტიის წევრი.

—:—

დ'ანუნციო გაბრიელ—დაიბადა 1863 წელს. ცნობილი იტალიელი მწერალი. როგორც პოლიტიკური მოღვაწე ცნობილი გახდა მსოფლიო ომის დროს.



დანუციო პოლიტიკურად უახლოვდება ფაშისტებს, თუმცა გენუის კონფერენციის დროს მან გულღიათ მიიღო ამხ. ჩიჩერინი, რის გამო ფაშისტებმა ის სატიკად დაჰგმეს და სრულიად გადაიპირეს.

დანგლისი—საბერძნეთის ლიბერალების ერთი ბელადთაგანი. ვენიზელოსის უახლოესი თანამშრომელი. გენერალი.

დაუესი, ჩარლზი—ამერიკელი გენერალი. მილიარდერ მორგანის წარმომადგენელი. რესპუბლიკანური პარტიის წევრი. ცნობილ „დაუესის გეგმის" შემდგენელი, რომლის წყალობით გერმანიის მუშებს მოკავშირენი სისხლის სწოვენ.



მან შეიმუშავა გეგმა, თუ როგორ მოსთხოვონ ზურგიდან ომში დამარცხებულ გერმანიას გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა ომის ხარჯები. ამ გეგმის განხორციელებას ხელმძღვანელობს ამერიკის მთავრობა.

დაშინსკი, იოსებ—დაიბადა 1866 წ. პოლონეთის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე და პოლონეთის სოციალისტური პარტიის ერთი ბელადთაგანი.

დელკასე—დაიბადა 1852 წელს, საფრანგეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი 1898—1905 წ. და შემდეგ 1914 წ.

დე-ვალერა—ირლანდიის რევოლიუციონერ რესპუბლიკანელების ბელადი და ირლანდიის ეროვნული კრების თავმჯდომარე. ინგლისის მთავრობა სასტიკად სდევნიდა დე-ვალერას. მრავალი წლების განმავლობაში ინგლისის მთავრობას ის ჩაკეტილი ჰყავდა ციხეში.



დე-მონზი—საფრანგეთის სენატორი. რადიკალ - სოციალისტი, „მემარცხენე" ბლოკის წევრი. ხელობით ვეჭილ და ჟურნალისტი 1923 წელს იყო საბჭოთა კავშირში და საფრანგეთში დაბრუნებისას დააარსა „რუსეთ-საფრანგეთის მეგობრობის საზოგადოება".



დე-რივერა-პრიმო,—ესპანელი გენერალი, ესპანეთის ფაშისტების ბელადი. 1923



წელს ძალა-უფლება ჩაიგდო ხელში, და თავის თავი გამოაცხადა დიქტატორად.

დეშანელი, პოლ—დაიბადა 1855 წ. საფრანგეთის დეპუტატთა პალატის ყოფილი თავმჯდომარე. ომის შემდეგ პუანკარეს მეტოქე საპრეზიდენტო არჩევნებში. რესპუბლიკის პრეზიდენტი 1920 წ.

დიამანდი—რუმინეთის ნაციონალ-ლიბერალი, ელჩი მეფის დროის რუსეთში 1914—1918 წლებში.



ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ დაპატიმრებულ იქნა ლენინგრადში კონტრრევოლიუციონურ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის. რუმინეთის წარმომადგენელი ლოზანის კონფერენციაზე. დიამანდი საბჭოთა ხელისუფლების ცნობის მომხრეა.

დიმან—დაიბადა 1874 წელს. ძველი გერმანელი სოციალ-დემოკრატი, დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყოფილი

ხელმძღვანელი. სახალხო წარმომადგენელთა საბჭოს წევრი. 1918 წლის რევოლიუციის შემდეგ, საქსონიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი წევრი. 1922 წელში ისევ დაუბრუნდა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებს.

დმოვსკი რომან—პოლონეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი. „სახალხო დემოკრატიული" პარტიის ბელადი, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრი.

დომგალ ტომაშ—გლეხთა ინტერნაციონალის მთავარი მდივანი. პოლონელი კომუნისტი, სოფლის მასწავლებელი, პოლონეთის სეიმის დეპუტატი. სეიმში არჩევის შემდეგ შევიდა კომუნისტურ პარტიაში. კომუნისტურ პარტიაში შესვლის შემდეგ პოლონეთის მთავრობამ მას დაუწყო დევნა, რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული. ამჟამად, პოლონეთის მთავრობის მიერ დევნილი, საბჭოთა კავშირში ცხოვრობს.



დუმერგ გასტონ—დაიბადა 1863 წელს. საფრანგეთის პრეზიდენტი, არჩეული 1924 წლის ივლისში. ხელობით იურისტი. 1893 წლიდან დეპუტატთა პალატის წევრი, 1910 წლიდან სენატორი. რადიკალთა პარტიის წევრი. 1924 წელს არჩეულ იქნა სენატის თავმჯდომარეთ. შემდეგ კი საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად.



— : —

ებერტ ფრიდრიხ—გერმანიის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი. დაიბადა 1871 წელს. იყო მუშა, ხელობით მეტყვეე. ბოლოს ის სრულიათ მოსწყდა მასას.



1923 წელს მუშების მოთხოვნით ის დემონსტრატიულად გარიცხეს პროფ-კავშირიდან, მუშები მოითხოვდენ მის გარიცხვას აგრეთვე სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან.

მთავრობის სათავეში ყოფნის დროს, 1923 წელს, დააკავა რკინისგზელთა საგანგებო ფონდი და ამით ჩაშალა გაფიცვა. მას ხშირად ჩაუღწევია მუშათა გამოსვლები და აჯანყებები.

ერვე, გუსტავ—საფრანგეთის სოციალისტი, სოციალისტ-შოვინისტების ერთი ბელადთავანი.

ერიო, ედუარდი—1924 წელს საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარედ იყო. რადიკალების პარტიის ბელადი და ამავე პარტიის აღმასკომის თავჯდომარე. 1923 წელს საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა. დაესწრო ნიჟეგოროდის ბაზრობას როგორც ლიონის ქალაქის თავი. 1924 წელს როგორც მთავრობის თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა, გამოაცხადა საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობა. მისი თაოსნობით გაიმართა ლონდონის კონფერენცია, რომელზედაც აიძულეს გერმანია მიეღო დაუესის გეგმის პირობები.



— : —

ვალდემარასი—პროფესორი, ლიტოველი დემკრატი, 1919 წ. ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრათ იყო.



ვან-ჩენ-ტინი (იგივე ვან, ანუ სიტი-ვან, „დოქტორ ვანი")—1924 წ. გენერალ ფინ-იუ-სიანის მეთაურობით პეკინში მოხდარ გადატრიალების შემდეგ ჩინეთის მთავრობას თავმჯდომარე. 1924 წლის დასაწყისში პეკინის მთავრობის დავალებით მეთაუროობდა მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირის ელჩთან, იაპონიის დაახლოვების მომხრეა.



ვანდერველდე ემილ—დაიბადა 1866 წ. ბელგიელი მემარჯვენე სოციალისტი. მეორე ინტერნაციონალის ერთი ბელად თავგანი. იმპერიალისტურ ომის დასაწყისშივე შევიდა მეფე ალბერტის ბურჟუაზიულ სამინისტროში. 1924 წ. რუსეთის მუშებს მოუწოდა მხარი დაეჭირათ ომისათვის და არ ებრძოლათ მეფე ნიკოლოზის წინააღმდეგ. ამ მოწოდებას ზიზღით შეხედა საერთაშორისო მუშათა კლასი. ბურჟუაზია კი მას ქება-დიდებით იხსენიებდა. სასტიკი მტერი საბჭოთა კავშირის. 1922 წ. ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში,



შეეცადა დაეცვა პასუხისგებაში მიცემული მეამოჯგენე ესერები, მაგრამ მისი გამოსვლა სამარცხვინო მარცხით დასრულდა. 1924 წ. მეორე ინტერნაციონალის დავალებით იმოგზაურა ბალკანეთის სახელმწიფოებში იმ მიზნით, რომ შეეიარაღებინა ისინი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

ვარგა, ევგენი—უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომისტი. უნგრეთის



კომპარტიის წევრი, უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყოფილი სახალხო კომისარი. ამჟამად საბჭოთა კავშირში ცხოვრობს.

ვებბ, სიდნეი—დაიბადა 1859 წ. ინგლისის მუშათა პარტიის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე. ინგლისის ტრედიუნიონების ერთი ხელმძღვანელთაგანი. მაკდონალდის პირველი მთავრობის დროს ვაჭრობის მინისტრათ იყო.

ვებბ ბეატრისჩე—(ბ. პოტტერ)—სიდნეი ვებბის ცოლი, ინგლისის მუშათა პარტიის წევრი.

ველლინგტონ-კუ—ჩინეთის სახელმწიფო, მოღვაწე. 1912 წ. იყო მთავრობის მდივნად, 1915 წ. ელჩად მექსიკაში. მსოფლიო ომის შემდეგ ელჩად იყო ჯერ ვაშინგტონში, შემდეგ ლონდონში. პარიზის საზაეო კონფერენციის წევრი, ჩინეთის წარმომადგენელი ერთა ლიგაში, 1921 წ. ვაშინგტონში გამართულ



განიარაღების კონფერენციის დელეგატი. 1922 და 1924 წლებში საგარეო საქმეთა მინისტრად იყო და საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთან ხელშეკრულება დასდვა საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

ვენიზელოსი ელეტერიოს—დაიბადა 1864 წ. საბერძნეთის ძველი სახელმწიფო მოღვაწე. მრავალჯერ იყო მინისტრათ და მთავრობის თავმჯდომარედ. მისი მიზანი იყო „დიდი საბერძნეთის“ შექმნა. მისი წყალობით ჩაება საბერძნეთი მსოფლიო ომის საშინელებაში და შემდეგ საბერძნეთის - ოსმალეთის ომში,



რომელიც საბერძნეთის ჯარის განადგურებით,

მეფე კონსტანტინეს ჩამოგდებით და რესპუბლიკის დამყარებით დამთავრდა.

1916 წ. სექტემბერში ვენიზელოსი, ჯარის დახმარებით სათავეში ჩაუდგა სალონიკის მთავრობას და აიძულა მეფე კონსტანტინე გადამდგარიყო ტახტიდან და თავისი ადგილი დაეთმო ალექსანდრესათვის, რომელმაც 1917 წ. ვენიზელოსს მიანდო მთავრობის შედგენა. მთავრობის სათავეში ვენიზელოსი იყო 1920 წლამდე, როცა ინგლისის დახმარებით გადაყენებული მეფე საბერძნეთში დაბრუნდა, ტახტი დაიბრუნა და აიძულა ვენიზელოსი და მისი მომხრეები გაცლოდენ საბერძნეთს.

ხელისუფლების საჭე უკანასკნელად დაუბრუნდა ვენიზელოსი 1922 წლის ბოლოში, როცა ანატოლიაში დამარცხდა საბერძნეთის ჯარი და მეფე კონსტანტინე იძულებული გახდა მეორედ გადამდგარიყო ტახტიდან. ვენიზელოსი დაბრუნდა საბერძნეთში, დაიკავა ეროვნულ კრებაში თავმჯდომარის ადგილი, შემდეგ კი დადგა მთავრობის თავმჯდომარედ და შეეცადა პირადათ გაეწია ხელმძღვანელობა სახალხო კენჭის ყრისათვის, რომლითაც უნდა გადაწყვეტილიყო—სახელმწიფო მონარქიული წყობილება, თუ რესპუბლიკა ყოფილიყო საბერძნეთში. როცა საერთო ხმების 75 პროც. რესპუბლიკის მომხრე აღმოჩნდა, ვენიზელოსი იძულებული გახდა სამუდამოთ თავი მიენებებია პოლიტიკურ ასპარეზზე მუშაობისათვის.

ვეჩოკრძვიჩი—კრაკოვის გენერალური შტაბის პოლონელი ოფიცერი, რომელსაც ბრალდებოდა ვარშავის ციხე-სიმაგრის და



უნივერსიტეტის აფეთქების მოწყობა და აგრეთვე იმისი ცდა, რომ აფეთქება მოეწყო ვარშავაში 1923 წ. 24 მაისს, როცა იქ საფრანგეთის ჯარის სარდალი ფოში იყო.

ვივიანი, რენე—დაიბადა 1863 წ. ყოფილი სოციალისტი, ეხლა რესპუბლიკანურ სოციალისტების პარტიის ბელადი.

1906—1910 წ. შრომის და უზრუნველყოფის მინისტრად იყო. მსოფლიო ომის დაწყების წინ პრეზიდენტ პუანკარესთან ერთად ჩავიდა რუსეთში საფრანგეთ-რუსეთის შორის საიდუმლო ხელშეკრულების დასადებათ. 1917 წ. იყო წევრი იმ დელეგაციის, რომელმაც ვაშინგტონში ხელი მოაწერა მსოფლიო ომში შეერთებულ შტატების (ამერიკა) ჩარევას.

ომის შემდეგ მზურვალე მონაწილეობას იღებს ერთა ლიგის მუშაობაში.

ვილსონ, ვუდროუ—ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების ყოფილი პრეზიდენტი. დემოკრატიულ პარტიის ბელადი. მან ჩააგდო ამერიკა გერმანიის წინააღმდეგ ომში, რითაც გაახანგრძლივა ომი და ქიდეც გადასწყვიტა მისი ბედი. ცნობილია, როგორც სამშვიდობო 14 მუხლის დამწერი, მანვე შეადგინა ერთა ლიგის პროექტი. 1919—1920 წ. პარიზის მსოფლიო კონფერენციის მონაწილე.

ვირტი, კარლ—დაიბადა 1879 წ. გერმანიის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე 1922 წ. „ცენტრის პარტიის“ ბელადი. გერმანიის წარმომადგენელი გენუის კონფერენციაზე, 1922 წ., სადაც ვალტერ რატენაუსთან ერთად საბ-



ჭოთა რუსეთთან დასდებ რაპალოს ხელშეკრულება. სამსახურს თავი დაანება გერმანიაში რეაქციის გაძლიერების შემდეგ. რუსეთ-გერმანიის ეკონომიური დაახლოვების მომხრე.

ვიტოსი—პოლონეთის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე, „გლეხთა“ პარტიის „პიასტის“ ბელადი. ამ პარტიაში შედიან გალიციის ბობოლა გლეხები და წვრილი მემამულეები. „პიასტი“ ხან კრიჭაში უდგას მთავრობას, ხან კი მისი ზურგის გამმაგრებელია. პოლიტიკურ ბრძოლაში ვიტოსი არავითარ საშუალებას არ ერიდება. ძლიერ თავმოყვარე და თვითნება კაცია. ვიტოსი მომხრე იყო საბჭოთა კავშირთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებაში და ამ მხრივ პილსუდსკის წინააღმდეგობას უწევდა.



ვოიტიუკი—პოლონეთის სეიმის დეპუტატი, პოლონეთში უკრაინის ს.-დ. პარტიის წევრი. უკრაინის კლუბის (ფრაქციის) წევრთა შორის მომხდარ განხეთქილების შემდეგ იყო უკრაინის ს.-დ. ფრაქციის თავმჯდომარედ. 1925 წლიდან სეიმის კომუნისტურ ფრაქციის წევრი.



ვოიცეხოვსკი—დაიბადა 1869 წ. პოლონეთის პრეზიდენტი. პოლონეთის სოციალისტური პარტიის დამაარსებელთაგანი. ომის წინა ხანებში თავი დაანება რევოლიუციონურ მუშაობას და ჩაება კოოპერაციაში, სადაც 1917 წლამდე მუშაობდა. როცა ომის დროს გერმანელებმა ვარშავა აიღეს, საცხოვრებლად



მოსკოვში ჩავიდა. რევოლიუციის შემდეგ მონაწილეობა მიიღო პოლონეთის შეიარაღებულ ძალთა მოწყობაში და პოლონელთა ყრილობაზე მოსკოვში არჩეული იყო პარტიათაშორისო საბჭოს თავმჯდომარედ, რომლიდანაც გადადგა 1918 წ. პილსუდსკის პირადი მეგობარია.

—:—

ზაგლულ-ფაშა—ეგვიპტის ნაციონალისტების ბელადი, ინგლისის ეგვიპტეში ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლი. ინგლისის ხელისუფლებამ რამდენჯერმე დააპატიმრა და გადაასახლა. 1924 წელს ეგვიპტეს პარლამენტის მიერ მთავრობის თავმჯდომარეთ დანიშნული, ინგლისის წინადადებით იძულებული



იყო იმავე წლის დამლევს თანამდებობიდან გადამდგარიყო.

ზევერინგ—პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი. მემარჯვენე სოციალ-დემოკრატ. კომუნიზმის სასტიკი მტერი. მას არა ერთხელ გაუნადგურებია გერმანიის კომუნისტური ორგანიზაცია. ემარჯვება კანონების წერა კომუნიზმის წინააღმდეგ.



ზეიპელ, იგნატ—ავსტრიის მთავრობის თავმჯდომარე, ქრისტიანულ-სოციალისტურ პარტიის ბელადი, მონარქისტი, ფაშისტურ



ორგანიზაციების სულის ჩამდგმელი. ემყარება ქალაქის ბურჟუაზიას და სასულიერო წოდებას. სოციალ-დემოკრატებთან თანაშრომლობის წინააღმდეგია. ზეიპელი ქადაგობს ავსტრიის, უნგრეთის და ბავარიის გაერთიანებას.

ზოგული—ალბანეთის პრეზიდენტი. ზოგულს 1923 წელს თავს დაესხნენ ნაციონალისტები სახალხო კრებაზე, მაგრამ გადარჩა.

ზომბარტ, ვერნერ—ცნობილი გერმანელი სოციალისტი, პროფესორი, მთელ რიგ ნარკვევების დამწერი თანამედროვე კაპიტალიზმის წარმოშობის და განვითარების შესახებ. 1922 წელს გაჭირვებამ აიძულა გერმანიიდან წასულიყო ესპანეთში და იქაურ უნივერსიტეტში დაეწყო ლექციების კითხვა.

—:—

ისმეთ-ფაშა—ოსმალეთის ეროვნული მოძრაობის ერთი ხელმძღვანელთაგანი, პირადი მეგობარი ოსმალეთის ეროვნული მოძრაობის ბელადის—მუსტაფა ქემალის, ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი და ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარე ლოზანის სამშვიდობო კონფერენციაზე. 1924 წელს იყო ოსმალეთის მთავრობის თავმჯდომარე.



იოშიზავა—იაპონიის ელჩი ჩინეთში, საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრე. მან დაიწყო



სამშვიდობო მოლაპარაკება ამბ. კარახანთან 1924 წელში ჩინეთ-საბჭოთა შეთანხმების დამყარების შემდეგ.

იუზი, ჩარლზ—დაიბადა 1862 წელს ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მტერი და თანამედროვე იმპერიალიზმის ერთი სულის ჩამდგმელთაგანი. 1921 წელს მოიწვია ვაშინგტონში ომში გამარჯვებულ სახელმწიფოების კონფერენცია ვითომ იმ მიზნით, რომ განიარაღება მოეხდინა. ამ კონფერენციას კი ის მოჰყვა შედეგათ, რომ ევროპის და ამერიკის სახელმწიფოებმა კიდევ უფრო გააძლიერეს შეიარაღება.



1923 წელს იუზი შეეცადა პროვოკაციის საშუალებით მოეწყო საბჭოთა კავშირზე თავდასხმა. ამ მიზნით მან ამერიკაში გამოაქვეყნა ყალბი საბუთები, შეთქმულებების შესახებ, რომლებსაც ვითომდა კომინტერნი და საბჭოთა კავშირის მთავრობა აწყობდა ამერიკაში, მაგრამ როცა ჩვენმა მთავრობამ ამხილა იუზის პროვოკაცია და განაცხადა, რომ საბუთები ყალბია, იუზმა საწინააღმდეგო ვეღარ დაამტკიცა, ვერ წარმოადგინა თავის გასამართლებელი საბუთები და იძულებული გახდა შეეწყვიტა სამტროთ დაწყებული მოქმედება.

1924 წელს ფარულად ხელმძღვანელობდა ლონდონში მოწვეულ მოკავშირეთა კონფერენციას, რომელზედაც დაუესის გეგმა განიხილეს. იურიდიულ მეცნიერებათა პროფესორია. 1907—1910 წლებში ნიუ-იორკის გუბერნატორათ იყო.

იუნგი, ო.უენი—ინგლისის ბანკირი, დაუესის კომისიის წევრი. მან საბოლოოთ დაამუშავა დაუესის გეგმა.

—:—

კავაკამი ტოშიტსუნე—იაპონიის საგანგებო ელჩი და სრულუფლებიანი მინისტრი პოლონეთში, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენის მომხრე და იაპონიის პირველი წარმომადგენელი საბჭოთა მთავრობასთან მოსალაპარაკებლად.

კაიო ჟოზეფ—საფრანგეთის ყოფილი მინისტრი, მსოფლიო ომის დროს პასუხისგებაში მიცემული სახელმწიფო ღალატისათვის. ის 1911—14 წლებში იყო ფინანსთა მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი და მთავრობის მეთაური.



ომის შემდეგ მან დასწერა წიგნი სათაურით: „საით მიდის საფრანგეთი, საით მიდის ევროპა", სადაც გაკოტრებას უწინასწარმეტყველებდა ყველა ევროპიულ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით საფრანგეთს.

მასვე აქვს სხვა ნაწერებიც, საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრე.

კაპპ, ვოლფგანგ—კონტრ-რევოლიუციონურ აჯანყების ხელმძღვანელი ბერლინში 1920 წელს, რომელმაც რამდენიმე დღით ჩაიგდო ხელში ძალა-უფლება.

გარდაიცვალა 1921 წელს შვეიცარიაში.

კატაიამა სენ—იაპონიის მუშათა კლასის უძველესი ხელმძღვანელთაგანი, იაპონიის სოციალისტური პარტიის ერთ-




დამაარსებელთაგანი. ამჟამად იაპონიის კომუნისტური პარტიის ბელადი და კომინტერნის აღმასკომის წევრი. ოც წელიწადზე მეტია, რაც ის გადახვეწილია იაპონიიდან, წინად დასავლეთ ევროპაში, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ კი ის საბჭოთა კავშირში ცხოვრობს.

კატაკამი ნოგუჩი—იაპონელი პროფესორი, რომელიც უნივერსიტეტში ასწავლის რუსეთის და იაპონიის ლიტერატურას. 1924 წელს სექტემბერში ჩამოვიდა მოსკოვში საბჭოთა კავშირის კლუტურის შესასწავლად და თავისი მუშაობის დასამთავრებლად.

პოლიტიკაში—საბჭოთა კავშირის და ჩინეთის ხალხის მეგობარია.


კატო ვიკონტ—დაიბადა 1860 წ. იაპონიის მთავრობის პირველი მეთაური ლიბერალურ ბურუჟაზიიდან, ოპოზიციონური პარტიის „კენ-სეიკაი“-ს ბელადი.



კატო იაპონიის მთავრობის პირველი მეთაური იყო არა წარჩინებულ თავადების წრიდან.

პირველად ის იყო კანტორის მოხელე იაპონიის მსხვილ წარმოებაში. დაამთავრა ტოკიოს უნივერსიტეტი და ცოლად შეირთო ამ წარმოების პატრონის ქალიშვილი. ამის შემდეგ მონაწილეობს პოლიტიკურ ბრძოლებში, როგორც ბურუჟაზიის ახალი კლასის წარმომადგენელი.

კაუცკი კარლ—დაიბადა 1854 წელს პრაღაში—გერმანიის სოც.-დემოკრატიული პარტიის და მეორე ინტერნაციონ. მეთაური, ეკონომისტი და ისტორიკოსი. ედუარდ ბერნშტეინთან ერთად მუშაობდა სოციალისტურ გაზეთებში ციურიხში. ფრიდრიხ ენგელსის უშუალო ხელმძღვანელობით დაიწყო მეცნიერული მუშაობა და განაგრძო მარქსისა და ენგელსის მუშაობა.



1883 წელში იყო მარქსისტულ მეცნიერული ჟურნალის რედაქტორი, რომლის ლიტერატურნიკებთან ერთად იცავდა მარქსიზმს მემარჯვენეთა კრიტიკისაგან.

მსოფლიო ომის დროს დაარსა დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატების ფრაქცია, მაგრამ ომის შესახებ კი მეტად გაურკვეველ თვალსაზრისს ადგა და სცადა რაღაც ახალი მცნება შეემუშავებია ე.წ. „სამშობლოს“ დაცვის შესახებ და ეს ახალი მცნება ინტერნაციონალისათვის დაეკავშირებია.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, 1917 წელს, დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ წერა და მუშაობა.

კაუცკის გამოსვლას საბჭოთა სისტემის და კომინტერნის წინააღმდეგ საკადრისი პასუხი გასცა ამხ. ლენინმა.

1918 წლის რევოლიუციის შემდეგ რუსეთის და საფრანგეთის მენშევიკებთან ერთად მან დაარსა ორნახევარი ინტერნაციონალი, მაგრამ ეს ინტერნაციონალი ისევ მალე დაიშალა და მეორე ყვითელ ინტერნაციონალს შეუერთდა.

კაშენ მარსელ—საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ბელადი, წინათ ის საფრანგეთის სოციალისტური პარტიის წევრი იყო.



იმპერიალისტური ომის დროს, თავის მასწავლებელ ჟიულ გედთან და სოციალისტური პარტიის უმრავლესობასთან ერთად, მხარს უჭერდა „სამშობლოს“ დაცვა თვალსაზრისს.

1917 წლის თებერვლის რევოლიუციის შემდეგ საფრანგეთის სხვა სოციალისტებთან ერთად მოდიოდა რუსეთში და რუსეთის მუშებს მოუწოდებდა მხარი დაეჭირათ დროებითი მთავრობისათვის ქვეყნის თავდაცვის სახელით.

რუსეთის რევოლიუციის გავლენით კაშენმა თანდათანობით შეიცვალა თავისი აზრი და 1920 წელს კომინტერნის მეორე კონგრესზე ფროსართან ერთად საფრანგეთის სოციალისტური პარტიის სახელით დაიწყო მოლაპარაკება ამ პარტიის კომინტერნში შესვლის შესახებ.

კომინტერნმა კატეგორიული წინადადება მისცა თავისი პარტიისათვის შეეცვალათ სახელი და მთლიანად მიეღოთ კომინტერნის პროგრამა, რაც უკვე შეასრულეს და გაატარეს საფრანგეთის სოციალისტური პარტიის კონგრესზე.

ამჟამად კაშენი არის საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

კენვორტი—ინგლისის პროგრესიული ლიბერალი, პოლკოვნიკი, ერთმა პირველთაგანმა მოითხოვა საბჭოთა კავშირის ცნობა. ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულების მოწინააღმდეგე.

კერზონ ჯორჯ—დაიბადა 1859 წელს. ინგლისის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, საბჭოთა კავშირის მტერი. მეფის ყოფილი „ნამესტნიკი“ (ინდოეთში, სადაც თავი ისახელა ინდოეთის ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლით). კერზონი სამხედრო მინისტრ ჩერჩილთან ერთად ოთხი წლის განმავლობაში ფულით და იარაღით ეხმარებოდა კოლჩაკის, იუდენიჩის, დენიკინის და სხვა კონტრ-რევოლიუციონურ ჯარებს. კერზონმა თავი ისახელა განსაკუთრებით 1923

წელს მაისში გამოგზავნილი ულტიმატუმით, რითაც ის ცდილობდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მოწყობას. მეშარჯვენე კონსერვატორების ბელადი, რომელიც რამდენჯერმე წამოაყენეს მთავრობის მეთაურად.

1924 წელს კვლავ შევიდა ბოლდუინის მთავრობაში სამეფო საბჭოს თავმჯდომარეთ. გარდაიცვალა 1924 წელს.

კლემანსო ჟორჟ—დაიბადა 1841 წელს. —საფრანგეთის რადიკალურ ბურჟუაზიის ბელადი და შოფლიო ომის მთავარი სულის ჩამდგმელი. გერმანიის დაუძინებელი მტერი.



შოფლიო ომის დროს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. პალატის წევრი 1876 წლიდან. მთავრობის მეთაურად პირველად არჩეულ იქნა 1902 წელს საბჭოთა კავშირის შეურიგებელი მტერი. გარდაიცვალა 1929 წლის დამლევს.

კოლაროვ ვასილ—კომინტერნის აღ-



მასკომის წევრი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ბელადი.

კონდურიოტის—საბერძნეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი, არჩეული 1923 წელს საყოველთაო კენჭის ყრის დროს. ამირბარი. სამხედრო-რევოლიუციონურ მთავრობის ყოფილი წევრი 1922 წელში.

კულიჯ კალვინ—ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი, რომელმაც დაიკავა პრეზიდენტის ადგილ გარდინგის სიკვდილის შემდეგ,



სახელდობრ 1924 წელს. რეაქციონერი. ბოსტონის ყოფილი გუბერნატორი, რომელმაც სახელი გათქვა ბოსტონის გაფიცულ მუშების განადგურებით.

საბჭოთა კავშირის შეურიგებელი მტერი.

კრუპპი—ცნობილი სამხედრო ჭარხნების პატრონი, რომელსაც მეტ სახელად „ზარბაზნების მეფე"-ს უწოდებენ.

კუკი—ინგლისის მემარჯვენეთა ტრედ-იუ-



ნიონის თავმჯდომარე და ინგლისის ტრედ-უნიონების მთავარ საბჭოს წევრი.

კრამარუ—ეჭვში, ჩეხო-სლოვაკიის ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ბელადი.

კუუსინენ ო. ვ. —ფინელ კომუნისტების ბელადი, ფინეთის კომუნისტური პარტიის



ცენტრალური კომიტეტის და კომინტერნის აღმასკომის წევრი.

კონ ფელიქს—ერთი უძველესი პოლონელი სოციალისტი, პოლიტიკური კატორღელი. ბევრი წლები გაუტარებია გადასახლებაში და ემიგრაციაში. კომინტერნის აღმასკომის წევრი.

კუტიურე ვაიან—პარიზის მუშათა ბელადი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის



ცენტრალური კომიტეტის წევრი. დეპუტატთა პალატაში არჩეული პარიზის მუშების მიერ.

არა ერთხელ ყოფილა დაპატიმრებული საფრანგეთის მთავრობის მიერ რევოლიუციონური მუშაობისათვის.

—:—

ლეგე პაულ—გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის თვალსაჩინო წევრი, რეიხსტაგის თავმჯდომარე, გერმანია საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის მომხრე.

ლევი პაულ—გერმანელ კომუნისტების ბანაკიდან სოც.-დემოკრატების ბანაკში გა-

დახიზნული. ერთ დროს გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

ლედებურ გეორგ—გერმანიის ყოფილ დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ერთი ბელადთაგანი. 1918 წლის ნოემბრის რევოლუციის შემდეგ ის რაყევაშია, ხან კომინტერნის მხარეზეა, ხან მის წინააღმდეგი ბოლოს მან შეჰქმნა თავისი ჯგუფი.

ლედებური რეიხსტაგის წევრია, რომელმაც კომუნისტებთან ერთად გაილაშქრა შტრეზემანის კაბინეთის წინააღმდეგ.

1923 წლის ივლისში საფრანგეთის კომუნისტური პარტიიდან გარიცხული ფროსართან და რუს მემარცხენე ესერთან შტეინბერგთან ერთად ფრანკფურტში დაარსა „სოც.-რევოლ. საერთაშორისო ინტერნაციონალური ბიურო“. 1924 წელს ლედებური გარიცხა თავისივე „დამოუკიდებელმა“ ჯგუფმა იმიტომ, რომ ის მზეავეთ ილაშქრებდა სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ.

ლარკინ ჯიმმი—ირლანდიის მუშათა გა-



მოჩენილი ბელადი, რამდენჯერმე ყოფილა დაპატიმრებული და გადასახლებული ირლანდიიდან და ინგლისიდან.

1924 წელს შევიდა კომუნისტურ პარტიაში, მონაწილეობას იღებდა კომინტერნის მეხუთე კონგრესზე და პროფინტერნის მესამე კონგრესზე.

ლაფოლეტ რობერტ—ამერიკელი სენატორი, დემოკრატიული პარტიის მემარცხენე



ფრთის ბელადი. 1923 წელს იყო საბჭოთა კავშირში.

ლიუდენდორფ ერიხ—დაიბადა 1865 წელს. —გერმანელი გენერალი. მსოფლიო ომის დროს ის იყო მეორე არმიის შტაბის უფროსი. გერმანიის დამარცხების შემდეგ შვეიცარიაში გაიქცა. რევოლიუციის შემდეგ ის საზღვარში ჩაუდგა კონტრრევოლიუციონურ ფაშისტურ რაზმებს. გერმანიის რეაქციონერების ერთი მთავარი ბელადი.

ლოიდ-ჯორჯ დავიდ—ინგლისის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე, ლიბერალების ბელადი. დაიბადა 1863 წელს. სოფლის ჯასწავლებლის შვილი. პატარაობაში მუშა-



ობდა ფეხსაცმელების მკერავთან, შემდეგ სოფელში დაიწყო ვექილობა და 26 წლისა არ ჩეულ იქნა თემთა პალატაში. ახალგაზრდობაში ის თავის თავს სოციალისტად სთვლიდა.

1905—1908 წლებში იყო ვაჭრობის მინისტრი. 1909—1911 წლებში სახელმწიფო ხაზინის გამგე, 1912—1922 წლებში მომარაგების მინისტრი, სამხედრო მინისტრი და მინისტრთა თავმჯდომარე.

—:—

მაკდონალდი ჯემს რამზაი—დაიბადა 1866 წელს. მეორე ინტერნაციონალის ერთი მთავარი ბელადთაგანი, ინგლისის მუშათა პარტიის მეთაური. 1924 წლის იანვრიდან ამავე წლის ნოემბრამდე იყო ინგლისის მთავრობის თავმჯდომარეთ. დაიბადა გლეხის ოჯახში, შოტლანდიაში. ჯერ იყო სახალხო მასწავლებელი, შემდეგ ნოქარი.



1906 წელში პარლამენტში და ცხოველ მონაწილეობას ღებულობდა მუშათა პარტიის დაარსებაში. სოციალიზმის საქმეში მაკდონალდი თავისებურია, მას შეუძლია ერთ და იმავე დროს იყოს მეორე ინტერნაციონალის ბელადი და ინგლისის ძველის მთავრობის თავმჯდომარეც.

ინგლისის მუშათა პოთხოვნით, როდესაც ის პირველად მთავრობის თავმჯდომარე იყო, იძულებული გახდა ეცნო საბჭოთა კავშირი და დაიწყო მოლაპარაკება სხვადასხვა საკითხებზე. მაკდონალდმა თავის წინამოადგილეებზე არა ნაკლები სიმკაცრე გამოიჩინა კოლონიების დაჩაგვრაში.

მაკდონალდი 1929 წელს ხელმეორედ იქნა არჩეული ინგლისის მთავრობის თავმჯდომარეთ.

მაკ-მანუს' არტურ—ინგლისის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და კომინტერნის აღმასკომის წევრი, ინგლისის მუშათა კლასის თვალსაჩინო ბელადი.

მანნ ტომ—ინგლისის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, თეძთა პალატის კანდიდატი.

მარქს ვილჰელმ—ქრისტიანულ დემოკრატიულ პარტიის ბელადი, გერმანიის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე.



მარტი ანდრე—ფრანგი კომუნისტი, რომელიც 1919 წლიდან 1924 წლამდე ციხეში დაპატიმრებული ჰყავდა საფრანგეთის მთავრობას მხოლოდ იმიტომ, რომ მან უარი განაცხადა რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ანდრე მარტმა თავის ამხანაგ ბადენთან ერთად სამხედრო გემზე მოაწყო აჯანყება.



მასარიკ ტომაშ—დაიბადა 1850 წელს, 1920 წელს იყო ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ლიტერატორი და ფილოსოფოსი, პრაღის უნივერსიტეტის პროფესორი, ყოფილი სოციალისტი, თავგამოდებული პატრიოტი, კომუნიზმის და საბჭოთა კავშირის მტერი, ფულით ეხმარებოდა საბჭოთა კავშირის მიწა-წყალზე მომქმედ სავინკოვის და კოლჩაკის ბრბოებს.



მაცონი—იტალიის მემარჯვენე სოციალ რეფ. ერთი ბელადთაგანი. ფაშისტურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის წინააღმდეგი. იტალიის სასოფლო-სამეურნეო მუშათა ფედერაციის წარმომადგენელი, შრომის საერთო კონფედერაციის წევრი.



მაცუდაირა—თვალსაჩინო იაპონელი სახელმწიფო მოღვაწე. რეაქციონერი.

მეეროვიცი ედუარდი—დაიბადა 1884 წ. ლატვიის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე. ლატვიის წარმომადგენელათა იყო ერთა ლიგის საბჭოში, დასდგა სამშვიდობო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთთან.

მილიერან ალექსანდრ—დაიბადა 1859 წელს. საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი. ახალგაზრდობაში იყო სოციალისტი. 1885 წლიდან დეპუტატთა პალატის წევრი, 1889 წლიდან გვერდს უბვევს სოციალიზმს და ევროპიულ სოციალისტებიდან პირველი შედის მინისტრად ბურჟუაზიულ მთავრობაში.



ომის დროს ის შხარს უჭერდა ლოზუნგს „ომი ბოლომდე!“

მილიერანი ყოველი საშუალებით ეხმარებოდა რუს თეთრ-გვარდიელებს, რომლებიც იბრძოდენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მანვე ვრანგელის მთავრობა იცნო იურიდიულად და ყოველგვარ დახმარებას უწევდა ახალი თავდასხმების მოსაწყობად.

მიულერი გერმან—გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ბელადთაგანი. ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, შემდეგ მთავრობის თავმჯდომარე. (1920 წ.) გერმანიის სახელი თპარიზში ხელი მოაწერა ვერსალის საზაო ხელშეკრულებას.

მორგან ჯონ-პირპონტ—ამერიკის ერთი მსხვილი მილიარდთაგანი. მის ფირმებს აქვს 22 მილიარდი, დოლარი, ესე იგი, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მთელი ეროვნული ქონების ერთი-მეხუთედი. მას დიდი ფული აქვს გასესხებული აგრეთვე ინგლისში და საფრანგეთში.



მუსოლინი ბენიტო—დაიბადა 1883 წელს. იტალიის ფაშისტების ბელადი და იტალიის მთავრობის თავმჯდომარე 1923 წლიდან. პროფესიით მასწავლებელი, ყოფილი სოციალისტი და სოციალისტური გაზეთის რედაქტორი 1914 წელს.



ომის შემდეგ ის აშკარად იცვლის აზრს, ღალატობს რევოლიუციას და გადადის ბურჟუაზიის მხარეზე.

1919 წელს მან დაარსა ფაშისტების პირველი კავშირი ფრონტის ოფიცრებისაგან და

წვრილ-ბურჟუაზიულ წრეების წარმომადგენლებიდან, რომელიც შემდეგ ძლიერ ორგანიზაციად გადაიქცა და რომელმაც შესძლო სახელმწიფო ძალა-უფლების ხელში ჩაგდება.

—:—

ნანსენ ფრიტიოფ—დაიბადა 1861 წელს. ნორვეგიის გამოჩენილი სწავლული და მოგზაური, საბჭოთა კავშირის მეგობარი, რომელმაც მოაწყო საერთაშორისო დახმარება ვოლგის მხრის დამშეულთა სასარგებლოდ. ერთა ლიგის დელეგატი. რამოდენჯერმე ჩამოვიდა მოსკოვში. მოსკოვის საბჭოს საპატიო წევრი.



ნოვაკოვიჩი—სამხრეთ - სლავიელი კონისტი, დამოუკიდებელ მუშათა პარტიის გაზეთის „რადნიკის“ ყოფილი რედაქტორი.




ნოსკე გუსტავ—დაიბადა 1868 წელს. გერმანიის სოციალ - დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ბელადი. ძველად ის იყო მუშა-დურგალი. ვილჰელმის დამხობის შემდეგ რეიხსტაგის დროებითმა კომიტეტმა ის გაგზავნა ერთ-ერთ ქალაქში, სახელდობრ კილში „წეს-რიგის“ დასამყარებლად. აქვე ის დაინიშნა გენერალ-გუბერნატორად, სადაც სახელი გაითქვა თავისი სიმკაცრით „წესრიგის“ დამყარებაში. მან იქ დახვრიტა აჯანყებული მუშები და მეზღვაურები. ასეთი დამსახურებისათვის ის დაინიშნა გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრად. მუშებისადმი სიმკაცრით მან სავსებით სისხლისმსმელი ჯალათის სახელი დაიმსახურა. მან დააპატიმრა კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი, მიუგზავნა მკვლელი და სოციალისტს გამოასალმა მუშათა კლასის გამოჩენილი ბელადები.



მან ბევრჯერ ჩაახშო გერმანიის მუშათა კლასის აჯანყება.

ნულანსი ჟოზეფ—საფრანგეთის ყოფილი ელჩი რუსეთში 1917—1918 წლებში. ყოფილი ფინანსთა და სამხედრო მინისტრი. ელჩათ იყო პეტროგრადში ჯერ კიდევ მეფის დროს და თებერვლის რევოლიუციის დროსაც იქვე დარჩა. რუსეთის დროებითი მთავრობას საფრანგეთის იმპერიალიზმის სურვილებს უკარნახებდა და ინგლისის ელჩ ბიუკენენთან ერთაად თავად ლვოვის და კერენსკის მთავრობებს აიძულებდა შეესრულებია ყველაფერი, რაც ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებს სურდა.



მათი მოთხოვნით კერენსკიმ დაიწყო 18 ივნისის შეტევა, რომელმაც აურაცხელი ჯარისკაცი შეიწირა. ოქტომბრის რევოლიუციამდე დროებით მთავრობას ეხმარებოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ რუსეთის მუშათა და გლეხთა შეურიგებელ მტერთა ბანაკში გადავიდა. ნულანსი სარგებლობდა ელჩების ხელუხლებლობით და კავშირი ჰქონდა საბჭოთა რუსეთში კონტრ-რევოლიუციონურ თეთრგვარდიელების ორგანიზაციებთან, მან მოაწყო ჩეხო-სლოვაკიის ლეგიონების აჯანყება ვოლგაზე. ის ფულს აძლევდა სავინკოვს როცა უკანასკნელი იაროსლავში აჯანყების მოწყობას შეუდგა. მისი თაოსნობით შემოესია საბჭოთა რუსეთს ჩრდილოეთიდან ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის ჯარი, რომელმაც ორი წლით მოსწყვიტა რუსეთს ქ. არხანგელსკი. მან ხელშეკრულება დასდვა პეტლიურასთან და პოლონეთთან საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ სამოქმედოთ. საფრანგეთში დაბრუნებისას ადგენდა საბჭოთა რესპუბლიკის დამხობის გეგმებს და თავის გარშემო შეკრიბა ყველა კონტრ-რევოლიუციონური და თეთრგვარდიელთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. 1921 წელს, როცა ვოლგის მხარეში შიმშილობა იყო, მოინდომა საბჭოთა რუსეთში ჩამოსვლა ვითომდა „დამშეულ რაიონების გამოსაკვლევად“, მაგრამ საბჭოთა მთავრობამ არ შემოუშვა.

ოგრემგოვი—მექსიკის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი, წარჩინებულ პარტიის ბელადი. მავრაზმელებმა მოჰკლეს 1928 წელს.



ოზოლსი—ლატვიის რესპუბლიკის ელჩი მოსკოვში.

ორლანდო, ვიქტორი-ემანუილი — იტალიის დემოკრატიულ პარტიის ბელადი, რომელიც ხელისუფლების სათავეში იდგა მსოფლიო ომის დროს. დაიბადა 1860 წ.

ორლანდო ანტანტის ერთი თვალსაჩინო მოღვაწე იყო და მოთაყვილეობას იღებდა ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულების დადების დროს.

—:—

პალეოლოგი, მორის — საფრანგეთის ყოფილი ელჩი მეფის რუსეთში, ომიანობის დროს. საფრანგეთში ეჭირა სხვადასხვა დიპლომატიური დანიშნულებანი.

მან დასწერა ცნობილი წიგნი „რუსეთის თვითმპყრობელობის უკანასკნელი წლები".

პანნეკუკი, ანტონ — ჰოლანდიელი „მემარცხენე" კომუნისტი.

პანკხერსტ, სილვია—ინგლისელი „მემარცხენე" კომუნისტი ქალი, ინგლისის კომპარტიის ერთი დამაარსებელთაგანი. ბოლოს გამორიცხულ იქნა პარტიიდან, რადგან პარტიის დადგენილებებს არ ემორჩილებოდა.

პარვუსი—ცნობილი გერმანელი სოციალ-დემოკრატი. პოლიტიკურ მოღვაწეობა დაიწყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიის რიგებში. 1905 წელს ტროცკისთან ერთად იდგა „პერმანენტული რევოლუციის" მომხრე. მან თავისი მოღვაწეობა ბოლოს გერმანიაში გაიტანა. მსოფლიო ომის დროს ის იცავდა გერმანიის მაშინდელ მთავრობას და სამოქალაქო მშვიდობიანობის მომხრე იყო.

ცნობილი იყო როგორც კარგი ეკონომისტი და ფინანსისტი. ის საუკეთესო პუბლიცისტი და ისტორიის ერთ-ერთი ბელადიც. გარდაიცვალა 1924 წელს.

პაშიჩი—სამხრეთ-სლავიის ერთ-ერთი თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე. არა ერთხელ იყო მინისტრად და მთავრობის თავმჯდომარედ.



დაიბადა 1846 წელს. ითვლებოდა სამხრეთ-სლავიის იმ პარტიის ბელადად რომელიც მეფისდროინდელი რუსეთის დიდი მომხრე იყო. ახალგაზრდობაში პაშიჩი რუსეთში ცხოვრობდა და სწავლობდა აქ, იმდროინდელ რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდა.

პენლევე,პოლ—საფრანგეთის პარლამენტში მემარცხენე ბლოკის (კავშირის) ერთი ბელადთაგანი. ამ ბლოკმა ის საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის კანდიდატად დაასახელა. ოცდა ათ წელზე მეტია, რაც პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა.




მსოფლიო ომამდე ის ომიანობის წინააღმდეგ გამოდიოდა, მსოფლიო ომის დროს კი ეროვნული დაცვის ერთი თავგამოდებული მომხრე გახდა.

1915 წელს განათლების მინისტრად იყო. 1917 წელს სამხედრო მინისტრად დანიშნეს და აქ თანამშრომლობაზე ყოფნის დროს მან რამდენიმე ათანაყოფა ჩაჭრა საფრანგეთის ჯარში, რამაც აქ რუსეთის რევოლიუციის გავლენით იფეთქა. მან საკუთარი დასჯა გადაუწყვიტა 23 კაცს და 1.000 მეტი ჯარისკაცი ატყრევინა გაგზავნა.

1919 წელს ის „მემარცხენეთა" ბლოკის სათავეში დგება ნაციონალური ბლოკის წინააღმდეგ.

პილსუდსკი იოსებ—პოლონეთის ფაშისტების მეთაური. გერმანიის და ავსტრო-უნგრეთის დამარცხების შემდეგ 1918 წელს, შემთხვევით ასარგებლა და პოლონეთის შეიარაღებულ ორგანიზაციის ძალებით ძალა-უფლება ჩაიგდო ხელში და დღემდე განაგებს პოლონეთის ბედიღბალს. თუმცა მას მხოლოდ სამხედრო მინისტრის თანამდებობა უჭირავს, მაგრამ ნამდვილად მთელი პოლონეთის ბრძანებლადე,—დიქტატორია. არც მთავრობას ჰკითხავს რასმე, არც სეიმს. ის დიდი პოლონეთის შექმნაზე ოცნებობს, რომლის საზღვრებიც უნდა—აღმოსავლეთით მდინარე დნეპრამდე მიიტანოს და ჩრდილოეთის—ბალტიის ზღვამდე. ამნაირად მას განზრახული აქვს ხელთ იგდოს რუსეთის, უკრაინის, ბელორუ-



სიის, ლიტვის, პრუსიის და სხვა მოსაზღვრე ქვეყნების მიწა-წყალი.

მისი მეთაურობითვე დაიწყო 1920 წელს პოლონეთის ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომელმაც პოლონეთი მიიყვანა ფინანსიურ და სამეურნეო განადგურებამდე და ის საფრანგეთის ყურმოჭრილ მონად გახადა.

პილსუდსკი დიდ დახმარებას უწევს რუსეთიდან განდევნილ თეთრგვარდიელებს და კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციებსაც, ის სცდილობს შექმნას საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე ქვეყნების სამხედრო კავშირი, რისთვისაც თვითონ და მისი გენერლები ხშირად მოგზაურობენ საიდუმლოდ და აშკარად. 1923 წელს პილსუდსკიმ დროებით დაკარგა ძალაუფლება, მაგრამ ერთი მუჭა გენერლების დახმარებით მან ძალაუფლება ისევ ჩაიგდო ხელში და მთელ პოლონეთში საშინელი ძალადობა გაამეფა.

პოლიტ, ჰარი—ინგლისის კომპარტიას ერთი მეთაუროაგანი, კიევის წევრი—შავი მუშა, რომელსაც ინგლისის მუშებში დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი.

პონსონბი, არტური — მაკდონალდის პირველი მთავრობის დროს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი, ცდილობდა ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმების მიღწევას—1924 წ. მან 9 წელი გაატარა დიპლომატიურ სამსახურში. იყო ლიბერალური პარტიის წევრი. შემდეგ ეს პარტია დასტოვა და შეუდგა მუშათა პარტიაში. მაკდონალდის მთავრობაში შესვლამდე. საგულდაგულოდ მუშაობდა საბჭოთა კავშირის ცნობისათვის. იყო წევრი საზოგადოებისა „ხელი შორს — საბჭოთა რუსეთიდან".



პუანკარე, რაიმონდ — („პუანკარე—ომი") დაიბადა 1860 წელს. საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი მსოფლიო ომის დროს და მთავრობის თავმჯდომარე ომის შემდეგ. ის ამ ომის ერთი დაწყებითა სულის ჩამდგმელთაგანი იყო. პუანკარე საფრანგეთის შავრაზმელების ბელადთაგანი და საბჭოთა კავშირის დაუძინებელი მტერია. ის ხელმძღვანელია, ამავე დროს ცნობილია, როგორც პუბლიცისტი და ორატორი. მან დასწერა წიგნი „მსოფლიო ომის მიზეზები". მეფის დროს როგორც ბურჟუაზიულ საფრანგეთის პრეზიდენტი რამდენჯერმე ჩამოვიდა რუსეთში ნიკოლოზ მეორესთან სადარბაზოთ.



—:—

შასპარ — ბელგიის ფინანსთა მინისტრი. გერმანიის ხალხის ერთი მთავარი და დაუძინებელი მტერი. იყო აგრეთვე შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა მინისტრად. კათოლიკური პარტიის წევრი.

ჟორეს ჟან — დაიბადა 1859 წელს. საფრანგეთის სოციალისტების ბელადი. მოჰკლეს რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე მსოფლიო ომს გამოაცხადებდენ (1914 წლის 31 ივლისს). მოკვლის მიზეზი ის იყო, რომ ჟორესი გაფთრებულ კამპანიას ეწეოდა მოახლოებულ ომის წინააღმდეგ და ემზადებოდა პარლამენტში გამოსასვლელად, რათა საქვეყნოდ ემხილებინა საფრანგეთის ბურჟუაზიის ყველა იმპერიალისტური ზრახვები. გამოჩენილი ორატორი, ჟურნალისტი და პოლიტიკური მოღვაწე. გაზეთ „იუმანიტე"-ს დამაარსებელი, რომელიც დღეს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ორგანოა.



ჟოფრ ჟოზეფ — დაიბადა 1859 წელს. საფრანგეთის მარშალი, მოკავშირეთა არმიების მთავარსარდალი დასავლეთ ფრონტზე მსოფლიო ომის დროს და მოკავშირეთა სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე. საფრანგეთ-პრუსიის ომის მონაწილე 1870—71 წლებში.

—:—

რადიჩი, სტეფანე—დაიბადა 1871 წელს ხორვატიის რესპუბლიკანურ გლეხურ პარტიის ბელადი იყო. ეს პარტია მოითხოვს ოთხ მილიონიან ხორვატიელების სამხრეთ - სლავიის ფედერაციისაგან განთავისუფლებას, თუმცა შემდეგ—მომავალში ბალკანეთის ხალხთა ფედერაციის მომხრეა. განთავისუფლებულ ხორვატიისთვის რადიჩის პარტია მოითხოვს მუშურ-გლეხურ რესპუბლიკანურ მართველობას, რო-



მელშიაც უპირატესობა გლეხებს უნდა ჰქონდეთ.

მოსკოვში ჩამოსვლის შემდეგ 1924 წელს, რადიჩის პარტია მიემხრო გლეხთა საერთაშორისო ინტერნაციონალს, თუმცა თვით რადიჩი წარმოადგენდა გლეხების ინტერესების მოსარჩლესა და მოქადაგეს, ძველი რუსეთის, ხალხოსნურ მოღვაწეთა მგზავსად.

მისი პარტიის ლოზუნგებია „მიწა მშრომელთ". ამ პარტიას სამხრეთ სლავიაში დიდი გავლენა და ძალა აქვს და დღითი-დღე იზრდება; 1920 წლის შემდეგ ამ პარტიის წარმომადგენელთა რიცხვი სამხრეთ სლავიის პარლამენტში თითქმის ერთი მესამედით გაიზარდა. რადიჩის პარტიის წინააღმდეგ გაფთრებულ ბოძოლას აწარმოებს გავლენიანი შავრაზმული პაიტია, რომელსაც პარლამენტში უმრავლესობა ჰყავს. ეს ბრძოლა იქამდე გამწვავდა, რომ 1928 წელს შავრაზმელი პარტიის ერთმა დეპუტატმა პარლამენტის სხდომის დროს რადიჩ-ტყვია ესროლა და მოჰკლა.

რადიოსლავოვი — ბულგარეთის ერთი თვალსაჩინო მოღვაწეთაგანი, რომლის მეოხებით ბულგარეთი ჩაება მსოფლიო ომში. 1918 წლის რევოლიუციის შემდეგ გაიქცა საზღვარგარეთ და იქ მოღვაწეობდა მეფე ფერდინანდისთვის წართმეულ სამეფო ტახტის დასაბრუნებლად. გარდაიცვალა 1923 წელს.

რაკოში — ჰუნგრეთის კომპარტიის თვალ საჩინო წევრი და მოღვაწე. საბჭოთა ჰუნგრეთის სახალხო კომისართა საბჭოში შედიოდა. იყო კომინტერნის მეორე კონგრესის და მისი აღმასკომის წევრი.

რაკოპორტ, შარლ — ფრანგი კომუნისტი, პარტიის ცეკას წევრი, ყოფილი რუსი სოციალისტი, რომელმაც მრავალი წელი გაატარა გადასახლებაში. ის ამჟამად მოსკოვის გაზეთების პარიზელი კორესპონდენტია. მას 1923 წელს პარიზში თეთრგვარდიელები თავს დაესხნენ მოსაკლავად, მაგრამ გადარჩა.

რატენაუ, ვალტერ — გერმანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. ფაშისტებმა მოჰკლეს 1922 წლის 24 ივნისს; ეროვნებით ებრაელი, გერმანიის „დემოკრატიული" პარტიის წევრი.



ის მომხრე იყო გერმანიასთვის საფრანგეთის მიერ წამოყენებულ პირობებზე და ამავე დროს ემხრობოდა გერმანიის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიური კავშირის შექმნის აზრს. ჯენუის კონფერენციაზე 1921 წელს მან დასდო მსოფლიო ომის შემდეგ პირველი საერთაშორისო გერმანია-საბჭოთა კავშირის (რაპალოს) ხელშეკრულება.

რევენტლოვი — მსოფლიო ომის წინადროინდელ გერმანიის დამპყრობელ გეგმების ერთი მოსარჩლეთაგანი და გერმანიის დღევანდელი ფაშიზმის ერთ-ერთი ბელადი.

რემელე, გერმან — თვალსაჩინო გერმანელი კომუნისტი. ბავარიის ქარხკომების არა-



ლეგალურ ყრილობის ერთი მომწვევთაგანი და მისი ხელმძღვანელი — ქალაქ პლაუენ'ში.

რენოდელი, პიერ — ფრანგ ბურჟუაზიულ სოციალისტების ერთი ბელადთაგანი, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყოფილი ბელადი. მეორე ინტერნაციონალის ერთ-ერთი წინამძღოლი და „მემარცხენე" ბურჟუაზიულ ბლოკის მეთაური საფრანგეთის პალატაში, რომელმაც ერთ დროს ძალაუფლების სათავეში ერიო მოაქცია. რენოდელი იყო საქართველოში. 1924 წლის მენშევიკური ავანტიურის ერთი მთავარი სულის ჩამდგმელი.

რიზა-ხან — დაიბადა 1873 წელს. 1923 წლის შემდეგ სპარსეთის მთავრობის თავმჯდომარედ იყო და მეთაურობდა სპარსეთის ნაციონალისტებს, რომელნიც ებრძოდენ ინგლიისს იმპერიალისტებს. სამხედრო მინისტრობის დროს თავის ირგელივ დარაზმა ერთგული სამხედრო პირები, შექმნა კარგი ნაციონალური არმია და ომი გამოუცხადა სხვადასხვა თავგასულ თავადებს და ხანებს. თავის ერთგულმა თანამებრძოლებმა ის ბოლოს სპარსეთის შაჰად აირჩიეს. რიზა ხანი საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლური ურთიერთობის მომხრეა.



როკფელლერ, ჯონ-დავისონ—დაიბადა 1839 წელს. ამერიკის ცნობილ კაპიტალისტურ ტროვის „სტანდარტ-ოილ-კომპანი"-ს ხელმძღვანელი. და ჰფლობს ამერიკის 60 ნავთის საზოგადოებას, რომელთა შემოსავალი ასეულ მილიონ დოლარებს შეადგენს ყოველ - წლიურად.



ახალგაზრდობაში ღარიბი იყო. ის გამდიდრდა ნავთსადენების მონოპოლიით, რომელიც ხელში ჩაიგდო მოხერხებით.

როლანი, რომენ — ცნობილი ფრანგი მწერალი, თავიდანვე საფრანგეთის რევოლიუციონური წარსულის დიდი მოტრფიალე იყო და თანდათან შორდებოდა ბურჟუაზიას, რომლის კულტურას და ცხოვრებას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა. მსოფლიო ომის დროს მან დასწერა წიგნი ამ ომის წინააღმდეგ, რისთვისაც აუმხედრდა მთელი მეომარი — პატრიოტული საფრანგეთი. შემდეგ ის შვეიცარიაში გადასახლდა და აქ ცდილობდა ბურჟუაზიული კულტურის და ომის საწინააღმდეგო ინტელიგენციის საერთაშორისო გაერთიანების შექმნას. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ მან გაზეთებში რამდენჯერმე დაბეჭდა წერილები, რომლებშიც გამოსთქვამდა რწმენას, რომ მხოლოდ პროლეტარულ რევოლიუციას შეუძლია გამარჯვების იმედი იქონიოსო.



—:—

სადული ჟაკ — ფრანგი კომუნისტი, საფრანგეთის კომპარტიის ერთი დამაარსებელთაგანი. დაიბადა 1881 წელს ძველ რევოლიუციონურ ფრანგ ოჯახში. ხელობით ვეკილია და ომიანობის დროს იყო „სოციალისტ“ მინისტრის ალბერტ ტომას თანაშრომელი მთავრობისა და პროფკავშირების ურთიერთობის დარგში. ის 1917 წელს გამოგზავნილი იყო რუსეთში, სადაც ოქტომბრის რევოლიუციის მოწმე შეიქნა და მისი ურყევი მიმდევარი გახდა.



მან მაშინვე უარი სთქვა იმპერიალისტური მთავრობის სამსახურზე და საბჭოთა კავშირში მყოფ ფრანგებში დაიწყო ოქტომბრის რევოლიუციის აზრების ქადაგება. საფრანგეთის მთავრობამ მას დაუსწრებლად გადაუწყვიტა სიკვდილით დასჯა.

სადულის სახელს ფართოდ იცნობს საფრანგეთის მუშათა კლასი, რომელმაც ის რამდენჯერმე წამოაყენა დეპუტატთა პალატის წევრის კანდიდატად. ერიოს „მემარცხენე“ მთავრობამაც კი უარი სთქვა სადულის ამნისტიაზე.

სამბა, მარსელ — საფრანგეთის მემარჯვენე (მენშევიკისებური) სოციალისტური პარტიის ერთი ბელადთაგანი. მსოფლიო ომის დროს შრომის მინისტრის თანამდებობა ეჭირა. გარდაიცვალა 1922 წელს.

საკლატვალა, შაპურჯი — ინგლისის კომპარტიის წევრი, ჩამომავლობით ინდოელი, დიდი ხანია ინგლისში მუშაობს. 1909 წლიდან შედიოდა ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიაში და ითვლებოდა მის საუკეთესო პროგანდისტად. 1921 წელს შევიდა კომპარტიაში და მას შემდეგ მისი თვალსაჩინო მუშაკი გახდა. 1922 წელს პირველად არჩეულ იქნა დეპუტატთა პალატაში მუშათა რაიონიდან ქ. ლონდონში. საკლატვალა მხურვალე მონაწილეობას იღებს აგრეთვე თავის ქვეყნის მუშათა მოძრაობაშიც. ის 1924 წელს კომპარტიის მიერ მეორედ იქნა არჩეული ინგლისის პარლამენტის წევრად.



სალანდრა — დაიბადა 1853 წელს. იტალიელ ლიბერალების მემარჯვენე ფრთის ბელადი. 1906—1909 წლამდე იყო ფინანსთა მინისტრად. მსოფლიო ომის დროს კი პარლამენტის და მთავრობის თავმჯდომარეთ.



მან 1922 წელს უარი განაცხადა მთავრობის შედგენაზე რითაც ხელი შეუწყო ფაშისტების მიერ ძალაუფლების ხელში აღებას.

სერრატი, ჟიაციტო მენოტი — იტალიის სოციალისტების ბელადი, მთელ ევროპაში უდიდეს სოციალისტურ გაზეთის „ავანტი“-ს ყოფილი რედაქტორი. მსოფლიო ომის დროს მისი მეთაურობით პარტიამ ინტერნაციონალური გეზი დაიჭირა, რის გამო მას სამხედრო სასამართლომ ორი წლის პატიმრობა მიუსაჯა. სერრატი ციმერვალდის კონფერენციის მონწვეის ერთი თაოსანი იყო და კომინტერნის ჩამოყალიბების შემდეგ მთელი პარტიით მას შეუერთდა.



კომინტერნის მეორე კონგრესზე სერრატი იტალიის დელეგაციის მეთაური იყო და კონგრესის პრეზიდიუმში შედიოდა.

იტალიის სოციალისტურ პარტიებს კონგრესზე ლივორნოში მან უარი განაცხადა კომინტერნის მოთხოვნაზე ჩამოშორებოდა რეფორმისტებს, ამ კონგრესზე მან მიიმხრო უმრავლესობა, უმცირესობამ კი ბამბაჩის, გენარის და სხვების მეთაურობით ჩამოაყალიბა იტალიის კომპარტია. სერრატი 1923 წლამდე დარჩა მემარჯვენეებთან, რომლის შემდეგ ის კვლავ გამოვიდა კომინტერნში გაერთიანების მომხრედ, 1924 წლიდან კი ისევ დაუახლოვდა კომპარტიას. გარდაიცვალა 1924 წელსა.

სმსილ, როგერტ — ინგლისელი კონსერვატორი, ბოლდუინის მთავრობაში მინისტრად იყო, სახელმწიფო ბეჭედი ეპარა, ამავე დროს იყო ინგლისის წარმომადგენლად ერთა ლიგაში.

სიკორსკი — ცნობილი პოლონელი გენერალი, პოლონეთის ყოფილი სამხედრო მი-



ნისტრი, პრეზიდენტ ნარუტოვიჩის მოკვლის შემდეგ მთავრობის მეთაური.

სინკლერი, უპტონ — ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი, მწერალი, რომელიც უახლოვდება კომუნიზმს. სახელი გაითქვა ცნო-



ბილი რომანებით: „ფული“, „სპილენძის მარკა“ და სხვა, რომლებშიც დაუზოგავად ამჟღავნებს კაპიტალისტურ კანონების და წესების უადამიანობა. სინკლერის ნაწარმოებები გადმოთარგმნილია რუსულ და ქართულ ენებზე.

სმეტანა — ლიტვის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი.

სნოუდენ ფილიპ—დაიბადა 1864 წელს. ლორდ. ფინანსთა მინისტრი მაკდონალდის პირველი მთავრობის დროს ინგლისში. მუშათა პარტიის ერთი მთავარი თეორეტიკოსი. ჯერ იყო ლიბერალურ პარტიის წევრი, 1894 წელს კი მუშათა პარტიაში შევიდა: 1906 წელს პარლამენტში გავიდა როგორც ინგლისის



დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წევრი, როგორც ფინანსისტი და ეკონომისტი, თანამშრომლობს ბურჟუაზიულ ჟურნალ-გაზეთებში და კონსერვატორების გაზეთებშიც, სადაც ის ამტკიცებს, რომ მუშათა პარტია სრულებით არ ფიქრობს კაპიტალისტებისაგან ქონების ჩამორთმევას.

სპოლაიკოვიჩი — სერბიის ყოფილი ელჩი ნიკოლოზ მეორეს დროს. მსოფლიო ომის შემდეგ პარიზში იყო სამხრეთ-სლაეიის ელჩათ. თავის დროზე მან ხელი შეუწყო მსოფლიო ომის დაწყებას. 1923 წელს შეეცადა აეძულებია მცირე ანტანტა ომი დაეწყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მაგრამ ვერაფერს გახდა და ამის შემდეგ იძულებული შეიქნა სამსახურისთვის თავი დაენებებია.

სტამბოლინსკი, ალექსანდრე—დაიბადა 1979 წ. ბულგარეთის ყოფილი მთავრობის თავმჯდომარე, მოჰკლეს 1923 წლის 9 ივნისს გადატრიალების დროს, რომელსაც მეთაურობდა. ბულადი ბულგარეთის მიწის მუშათა კავშირის (წვრილ ბურჟუაზიული გლეხური პარტიის), რომელმაც ხელი



იგდო ძალა-უფლება 1918 წ. მეფე ფერდინანდის გადადგომის შემდეგ. სტამბოლინსკი 4 წელიწადი იყო მთავრობის სათავეში და იცავდა უმთავრესად ბულგარეთის სოფლების კულაკურ ნაწილის ინტერესებს. კულაკები ებრძოდენ როგორც ღარიბ გლეხებს, ისე ქალაქის პროლეტარიატსაც და ცდილობდენ ძალა-უფლება დიდხანს შეენარჩუნებიათ.

სტინეს გუსტავ—გერმანელი მსხვილი მრეწველი. გამდიდრდა მსოფლიო ომის დროს ჯარისთვის საჭირო მასალების მიწოდებით. ომის შემდეგ ხელ იგდო დიდი კაპიტალისტური წარმოებები, რკინის გზები, ბანკები და უცხოეთის ბაზარზედაც დიდი გავლენა ჰქონდა. ამერიკაში, რუმინეთში და გალიციაში შეიძინა ნავთის საბრუნველოები და შექმნა გერმანიის და საფრანგეთის მძიმე ინდუსტრიის მთლიანი ტრესტი. გერმანიის „სახალხო“ პარტიის მემარჯვენე ფრთის ბელადი და რეიხსტაგის წევრი იყო. ყველა ბურჟუაზიული გაზეთები მის ხელში იყო. მისი გავლენის ქვეშ იყო სახელმწიფო ბანკი. მისი სურვილით ინიშნებოდა მინისტრები. მას თავის დროზე უწოდეს „გერმანიის უგვირგვინო მეფე“.



მოკვდა 1924 წ.

სუნ-იატ-სენი—დაიბადა 1866 წელს. „ჩინეთის რევოლუციის მამა“, ხელმძღვანელი 1911 წ. ჩინეთის რევოლუციის, რომელმაც მანჯურების სამეფო გვარი სამუდამოთ ჩამოაგდო ტახტიდან და რის შემდეგ ჩინეთი რესპუბლიკად გადაიქცა. რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი 1912 წ. რევოლუციონერ



მუშაობაში ახალგაზრდობიდან ჩაება. რამო-

დენიმეჯერ მოიარა ევროპა და ამერიკა, სადაც უმაღლესი სწავლა მიიღო. ხელობით იყო ექიმი. საშინაო უთანხმოების შემდეგ, როცა უცხოეთის იმპერიალისტებმა ისარგებლეს და ჩინეთში არიგ-დარიეს საქმეები, სუნ-იატ-სენი თავისი ნებით გადადგა პრეზიდენტობიდან და ადგილი დაუთმო გენერალ იუ-ან-შიკაის, ხოლო თითონ რევოლუციონური პარტიის მოწყობას შეუდგა. მსოფლიო ომმა, რომელშიაც ჩინეთიც ჩაითრიეს იმპერიალისტებმა, ხელი შეუშალა სუნ-იატ-სენის პოლიტიკურ მოღვაწეობას და მხოლოდ ომის შემდეგ შეძლო „სახალხო-რევოლუციონური პარტიის“ (გომინდანის) საბოლოოდ ჩამოყალიბება და განმტკიცება. გომინდანის პარტიის და მისი ბელადის სისუსტე ის იყო, რომ ისინი ცდილობდენ ჩინეთის საზოგადოებაში კლასიური ბრძოლისთვის გვერდი აეხვიათ და ერთ პარტიაში გაეერთიანებიათ ბურჟუაზიის და მუშათა მასის ინტერესები.

მაგრამ რუსეთის დიდი რევოლიუციის გავლენით ჩინეთის მუშათა კლასი საგრძნობლად გადაიხარა მარცხნივ და გომინდანის პარტიამაც იცვალა იერი. მრავალი ჩინელი მუშა, რომელიც წინად გომინდანის პარტიის გავლენას განიცდიდა, ეხლა კომუნისტურ პარტიაშია გაერთიანებული და ჩინეთშიც კლასიური ბრძოლა გაჩაღდა.

სუნ-იატ-სენი გარდაიცვალა 1924 წელს.

—:—

ტარდიე, ანდრე—დაიბადა 1876 წ. საფრანგეთის იმპერიალიზმის ერთი ბელადთაგანი, მსოფლიო ომის ერთი გამჩაღებელი, საფრანგეთის პალატის ნაციონალისტური ჯგუფის ბელადი. სოციალისტების და ლიბერალების მოწინააღმდეგე და კომუნისტების სასტიკი მტერი. საფრანგეთის მთავრობის ეხლანდელი თავმჯდომარე. თავისი „მოღვაწეობა“ იმით დაიწყო, რომ საფრანგეთის კომპარტიის განადგურება მოიწადინა.



ტერრაჩინი — იტალიელი კომუნისტი, პროფინტერნის მუშაკი.

ტომას, ალბერტ—დაიბადა 1878 წ. საფრანგეთის „სოციალისტების“ ერთი ბელადთაგანი. ევროპის მუშათა კლასის ერთი მთავარი სოციალ-გამყიდველთაგანი. შრომის მინისტრათ იყო ომის დროს. 1915 წ. პუანკარესთან ერთად პეტროგრადში ჩავიდა მეფე ნიკოლოზ მეორესთან სათათბიროთ. ეხლა ერთა ლიგაში მუშაობს. მომხრეა იმისი, რომ გადიდდეს სამუშაო დრო, მუშების გაფიცვის დასამარცხებლად ჯარი იქნეს გამოყენებული, მომზადდეს გაფიცვების ჩამშლელთა სამართალფო რაზმი და ახალშენებში საფრანგეთის სახელმწიფო კანონები მთელი სისასტიკით იქნეს გატარებული.



ტომას, ჯემს-ჰენრი—დაიბადა 1873 წ. ინგლისის მუშათა პარტიის და მეორე ინტერნაციონალის ერთი უკიდურესი მემარჯვენე ბელადთაგანი, ინგლისის რკინისგზელთა კავშირის ყოფ. მთავარი მდივანი და ამსტერდამის ინტერნაციონალის ყოფ. თავმჯდომარე. მაკდონალდის პირველ მთავრობის დროს ახალშენების მინისტრათ იყო და სასტიკად ებრძოლა მუშათა მოძრაობას ინდოეთში და ეგვიპტეში. რკინისგზელთა კავშირის მდივნად ყოფნის დროს არა ერთხელ გაუყიდია რკინისგზელ მუშების ინტერესები ინგლისის კაპიტალისტების სასარგებლოდ.

ტრულსტრა—ჰოლანდიის უკიდურეს მემარჯვენე სოციალისტების ბელადი. მეორე ინტერნაციონალში თანამშრომლობს იმ ჯგუფთან, რომელიც ყველაზე უფრო რეაქციონურია.

ტურატი—იტალიის მუშათა მოძრაობის ერთი მემარჯვენე ბელადთაგანი. მსოფლიო ომის მომხრე იყო. ომის შემდეგ ბურჟუაზიას მხარს უჭერდა მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში. როცა მუსოლინიმ ხელთ იგდო ძალა-უფლება, ფაშისტების მხარეზე გადავიდა.

—:—

უდეგესტი—ამსტერდამის პროფკავშირების ყვითელ ინტერნაციონალის მდივანი, მუშათა კლასის ერთი უკიდურესი მემარჯვენე ბელადთაგანი.



უ-ჰეი-ფუ—ჩინელი გენერალი, ცენტრალურ ჩინეთის ყოფილა დიქტატორი. ისეთი დიდი ძალა და გავლენა ჰქონდა, რომ ჩინეთის პრეზიდენტათ დაყენა თავისი კაცი ცაო-კუნი. ინგლის-ამერიკის კაპიტალის ერთგული მოსამსახურე იყო. ებრძოდა როგორც იაპონიის პოლიტიკას ჩინეთში, ისე სუნ-იატ-სენის მოძღვრებას და სამხრეთ ჩინეთში რევოლიუციონურ მოძრაობას. 1924 წელს, როცა ჩან-ძო-ლინთან ბრძოლაში დამარცხდა, პრეზიდენტ ცაო-კუნთან ერთად განდევნეს პეკინიდან.

ურკარტი, ლესლი—ცნობილი ინგლისელი მრეწველი. თვითმპყრობელობის დროს მის ხელში იყო კომბინაში, ალტაიზე, სამთო სამრეწველოები. ერთხანს საბჭოთა ხელისუფლებას მოლაპარაკება ჰქონდა მისთვის კონცესიების გადასაცემად, მაგრამ როცა 1923 წ. ინგლისის მთავრობამ მტრული მოქმედება გააჩაღა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ჩვენმა მთავრობამ ურკარტს უარი უთხრა კონცესიებზე. ამის შემდეგ ურკარტი ჩვენი დაუძინებელი მტერი შეიქნა.



უშიდა—იაპონიის ყოფილი ელჩი ლენინგრადში, შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრი. საბჭოთა კავშირთან შეთანხმების მომხრე.

—:—

ფინ-იუი-სიანი—ცნობილი ჩინელი გენერალი. 1924 წელს პეკინში ხელმძღვანელობდა გადატრიალებას. ჩამოაგდო პრეზიდენტი ცაო-კუნი, გენერალ უ-პეი-ფუს დაყენებული. სარდლობდა ჩინეთის სახალხო არმიას, როცა დაიწყო ბრძოლა ინგლის-ამერიკის—იაპონიის და საფრანგეთის იმპერიალიზმის ჩინეთიდან განდევნის მიზნით.



ხან ებრძვის და ხან ურიგდება ხოლმე ჩანკაი-შის. მაძიებელია ძალა უფლების.

ფორდ გენრი—ცნობილი ამერიკული საავტომობილო ქარხნების პატრონი. მისი ქარხნები ოღონ რამოდენიმე ათას ავტომობილს ამზადებენ. რეაქციონერი და ანტისემიტი (ებრაელ ხალხის მოწინააღმდეგე და მდევნელი), ანტისემიტურ საზოგადოების ხელმძღვანელი. ამ საზოგადოებას ჰქონია „ახალგაზრდა ქრისტიანთა ასოციაცია“ ანტისემიტური გაზეთის გამომცემელი. ფორიდს ფულით ყველა ქვეყნებში იცემა ანტისემიტური წიგნები, გაზეთები და ფურცლები.



„დემოკრატიული პარტიის“ წევრი. დიდი ნდობა აქვს დამსახურებული ამერიკის ბურჟუაზიაში. აქვს დაწერილი თავის თავგადასავალის წიგნი **„ჩემი ცხოვრება და მიღწევები“.**

ფოში, ფერდინანდი—საფრანგეთის გენერალი. სამხედრო აკადემიის პროფესორი და რექტორი. საფრანგეთის ჯარის ხელმძღვანელთაგანი მსოფლიო ომის დროს. მსოფლიო ომის ერთი გამჩაღებელთაგანი. გარდაიცვალა 1929 წელს.



—:—

ქემალ მუსტაფა—დაიბადა 1873 წელს. — ოსმალეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი, მიღებული აქვს სამხედრო განათლება. 1908 წლის რევოლიუციაში იღებდა აქტიურ მონაწილეობას.



მსოფლიო ომის დროს სარდლობდა ოსმალეთის შეიარაღებულ ძალებს ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგ, რომლებიც დარდანელს უტევდენ.

ომის დამთავრების შემდეგ ქემალი სათავეში ჩაუდგა ეროვნულ მოძრაობას და გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა ფრანგების, ინგლისელების და მათ მიერ მოსყიდულ სბერძნეთის იმპერიალისტების წინააღმდეგ.

ამ ბრძოლის შედეგი ის იყო, რომ მან გაანადგურა საბერძნეთის ჯარები, საფრანგეთის ჯარებისაგან გაანთავისუფლა ოსმალეთის მიწა-წყალი და სამშვიდობო ხელშეკრულება დასდო ანტანტასთან ლოზანაში.

ოსმალეთის ხალხში საუკუნოებით დათესილი იყო მტრობა და სიძულვილი ევროპის იმპერიალისტების და აგრეთვე სულთანის წინააღმდეგ, რითაც ისარგებლა ქემალმა. ქემალი იყო ეროვნული ჯარების მთავარ-სარდალი და ამავე დროს ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე. 1923 წელს, ოსმალეთის რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ ქემალი არჩეულ იქნა პრეზიდენტად.

ქემალი საბჭოთა კავშირის მეგობრობის მომხრეა.

—:—

შმერალი—ჩეხო - სლოვაკიის კომპარტიის ერთი დამაარსებელთაგანი და ხელმძღვანელი.

შეიდემანი—დაიბადა 1865 წელს. —გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი ბელადთაგანი. ახალგაზრდობაში სტაჟის მუშა. 1911 წლიდან პარტიის ცენტრალურ კომიტეტში წევრად არის. 1912 წელს აირჩიეს გერმანიის რეიხსტაგის თავმჯდომარის მოადგილედ. ამ ხნიდან ის ხდება თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეთ, ხელმძღვანელობს სოციალ-შოვინისტებს და ცდილობს მუშათა კლასის ინტერესი დაუმორჩილოს სახელმწიფოს ინტერესებს და ლოზუნგს: „დოუტშლანდ იუბერ ალლეს!“ („გერმანია უპირველეს ყოვლისა). ნოემბრის რევოლიუციის დროს, როცა ტახტიდან გადმოაგდეს ვილჰელმ მეფე შეიდემანმა ჩაიდინა საზიზღარი გამომცემლობა პროლეტარიატისა და რევოლიუციის მიმართ. რევოლიუციის პირველ დღიდანვე, რუსი კადეტების მსგავსათ, თვითმპყრობელობის დამხობის წინააღმდეგი იყო. მეფე ვილჰელმის ჩამოგდების წინა დღეებში თითქმის თანახმა იყო შეედგინა ისეთი მთავრობა, რომელიც თვითმპყრობელობას გადაარჩენდა, მაგრამ სახალხო აჯანყებამ არ დააცალა მთავრობის შედგენა. ნოემბრის აჯანყების შემდეგ აირჩიეს სახალხო რწმუნებულთა საბჭოს წევრად და შემდეგ რეიხსკანცლერად.

1919 წელს გერმანიის მონარქისტებმა მას რატომღაც ბრალი დასდეს რევოლიუციონურ მუშაობაში და ამის შემდეგ შეიდემანმა სამსახურს და პოლიტიკურ მოღვაწეობას თავი დაანება. პროლეტარიატმა კი ახლოსაც არ გაიკარა გამცემი და საბოლოოდ ზურგი შეაქცია მას.

რამდენიმე წლის განმავლობაში შეიდემანის სახელიც არავის გაეგონა. ის სავსებით ჩამოცილდა საზოგადოებრივ მუშაობას. ამჟამად სოც.-დემოკრატიულ პარტიაშიც მას მცირე გავლენა აქვს და რომელიღაც პატარა ქალაქში ადმინისტრაციის უფროსის თანაშემწეთ არის.

შტრეზემანი—გერმანიის საგარეო საქმეთა ყოფ. მინისტრი. გერმანიის „სახალხო პარტიის“ ერთი ბელადთაგანი. ბერლინელ ვაჭრის შვილი. უნივერსიტეტის გათავების შემდეგ პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო გერმანიის ბურჟუაზიის მემარცხენე რიგებში. თავდაპირველში ეკუთვნოდა ღვდელ ნაუმანის მცირერიცხოვან პარტიას, რომელსაც ეწოდებოდა „ნაციონალ-სოციალური პარტია“ და



რომელიც ცდილობდა გერმანიის იმპერიალიზმი გადაეხალისებინა რეფორმების საშუალებით. შტრეზემანმა მალე დასტოვა ეს პარტია და შევიდა ნაციონალ-ლიბერალების პარტიაში, რომელიც ომამდე ყველაზე უფრო ძლიერი იყო. საჭსონიის სამრეწველო საზოგადოებაში მდივნად ყოფნის დროს პარლამენტის წევრად აირჩიეს ნაციონალ-ლიბერალების პარტიიდან. მალე შტრეზემანი პარტიის ბელადი გახდა პარლამენტში. ომის დროს მომხრე იყო იმისა, რომ ომი არ შეწყვიტათ იმ დრომდე, სანამ არ გაიმარჯვებდენ და ეწარმოებინათ ინგლისის წინააღმდეგ ომი წყალქვეშა ნავების საშუალებით. ომის შემდეგ პარტია გარდაჭნა და უწოდა „სახალხო“. ამ პარტიაში გაბატონებით გაძლიერდა მძიმე ინდუსტრიის წარმომადგენელთა და განსაკუთრებით მისი ბელადის გუგო სტინესის გავლენა. სტინესი პარტიაში აშკარად ატარებდა რესპუბლიკის საწინააღმდეგო ხაზს, საგარეო პოლიტიკაში კი პროპაგანდას ეწეოდა ვერსალის „სამარცხვინო“ ხელშეკრულების წინააღმდეგ, რომლის დადებაში ბრალს სდებდა სოციალ-დემოკრატებს. შტრეზემანი იცავდა საშუალო ბურჟუაზიის ინტერესებს, რომელსაც უფრო და უფრო იმონებდა სტინესის კონცერნები. ბოლოს შტრეზემანმა დაიწყო ბრძოლა სტინესის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში მას დიდ დახმარებას უწევდენ ოტო ვოლფის და ლიტვინის კონცერნები, საიდანაც ფულსაც ილებდა გაზეთის გამოსაცემად. სტინესის გაზეთები სასტიკად შეებრძოლენ შტრეზემანს. ამის შემდეგ მან გადაახალისა თავისი მთავრობის შემადგენლობა, შემდეგ კი თავისი ადგილი დაუთმო სტინესისთვის საშიშ მოწინააღმდეგეს ვილჰელმ მარქსს (ცენტრანგეთის კაპიტალისტების გულის მოსაგებათ შეეცადა დაერღვია საბჭოთა კავშირთან წესიერი ურთიერთობა და ამ მიზნით 1924 წელს ხელი მოაწერა ... ში საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე თავდასხმას. ... ოთ ის ცდილობდა გერმანიის ... მოკავშირეთა კაპიტალისტების შეთანხმებას. გარაიცვალა 1929 წელს.

შუკატ-ალი—ინდოეთის ეროვნული მოძრაობის ერთი ბელადთაგანი და ინდოელ მაჰმადიანთა წინამძღოლი. 1924 წელს ინდოეთის ხალიფატის სესიაზე თავმჯდომარეთ აირჩიეს. აქ მან მწვავედ გაილაშქრა ინგლისელების წინააღმდეგ. ინგლისელების მიერ რამდენჯერმე იქნა დაპატიმრებული, ვითომდა „ბოლშევიკების აგენტი“—რასაკვირველია სრულებით უსაბუთოდ.

შოუ, ბერნარდ — დაიბადა 1866 წელს.



ცნობილი ინგლისელი მწერალი. ფაბრილ-ბურჟუაზიული სოციალისტი. ოქტომბრის რევოლიუციის თანამგრძნობი და საბჭოთა ბელადების პატივისმცემელი.

შოუ, ჯ. შ. — დაიბადა 1872 წელს. ინგლისის მუშათა პარტიის და მეორე ინტერნაციონალის მთავარი ბელადთაგანი. მინისტრი მაკდონალდის მთავრობაში. ახალგაზრდობაში მუშაობდა საფეიქრო ქარხანაში. არჩეული იყო ფეიქართა პროფკავშირის მდივნად. მაკდონალდის პირველ მთავრობამდე მეორე ინტერნაციონალის მდივნად იყო არჩეული, მაგრამ მინისტრად დანიშვნის გამო იმ თანამდებობიდან გადადგა.

—:—

ჩან-კაი-ში — დაიბადა 1881 წ. ნანკინის მთავრობის თავმჯდომარე. სამხედრო დიქტატორი. გომინდანის პარტიის მემარჯვენე ბელადთაგანი. როცა 1927 წ. ჩინეთში ეროვნულმა მოძრაობამ იფეთქა, ჩან-კაი-ში ჩინეთის სახალხო ჯარის სარდალი იყო. ჩაიგდო თუ არა ხელში ხელისუფლება, მოღალატურათ ზურგი შეაქცია სახალხო-რევოლიუციონურ მოძრაობას და ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის ყურ-მოჭრილი მონა გახდა. ჩან-კაი-ში გაათხრებით ებრძოდა და ებრძვის ჩინეთში კომუნისტურ მოძრაობას. უცხოეთის იმპერიალისტებით დაიმეგობრებულმა მან დაარღვია საბჭოთა კავშირთან დადებული ხელშეკრულება, მოიწდომა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდება და საბჭოთა საზღვრებს ხუნხუზები და ჯარი შეუყია. როგორც ვიცით, ამ შრომაში ის სასტიკად დამარცხდა.



ჩან-ძო-ლინი — ჩინელი გენერალი, რომელმაც ხელთ იგდო ჩრდილოეთ ჩინეთი, (მანჯურია). არ ეპორჩილებოდა ცენტრალურ მთავრობას და განაგებდა მხარეს ისე, როგორც თვითონ სურდა. იყო იაპონიის იმპერიალიზმის და კაპიტალის აგენტი. დიდ დახმარებას უწევდა მას აგრეთვე ანფუის იაპონიის პარტია, რომლის მიზანი იყო მანჯურია დამოუკიდებელი სახელმწიფო ყოფილიყო და მანჯურიის ხუნხუზები ქვეყნის ბატონ-პატრონები გამხდარიყვნენ. მას ჰყავდა მოზრდილი ჯარი კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი. მოჰკლეს 1927 წელს.




ჩემბერლენი, ოსტინ — დაიბადა 1863 წელს, ინგლისის კონსერვატიული პარტიის ერთი ბელადთაგანი. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი 1924 წლიდან მაკდონალდის უკანასკნელ მთავრობამდე. საბჭოთა კავშირის დაუძინებელი მტერი.



ჩერჩილი, უინსტონ სპენსერი — ლორდი, ინგლისის ლიბერალების რეაქციონური ბელადთაგანი, მომარაგების მინისტრი ომის დროს, შემდეგ სამხედრო მინისტრი ლოიდ-ჯორჯის მთავრობაში. ევროპის იმპერიალისტებს აქეზებდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომის დასაწყებად. ფულს და სამხედრო იარაღს აწვდიდა რუს თეთრგვარდიელ გენერლებს დენიკინს, კოლჩაკს, იუდენიჩს და სხვებს. 1919 წელს შეადგინა გეგმა, თუ როგორ უნდა თავს დასხმოდა 14 სახელმწიფო საბჭოთა რესპუბლიკას და სწრაფად გაენადგურებიეთ. დაიბადა 1874 წელს. 1924 წელს ბოლდუინის მთავრობაში ფინანსთა მინისტრათ იყო.

—:—

ცანკოვი, ალექსანდრე — პროფესორი, ბულგარეთის კონტრ-რევოლიუციის ბელადი, ბულგარეთის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე. ძალა-უფლება ხელთ იგდო 1923 წელს სამხედრო გადატრიალების შემწეობით და სტამბოლინის ელჩობური მთავრობის ჩამოგდებით. შემოიღო სამხედრო დიქტატურა. მას დიდი დახმარება გაუწიეს მაკედონელ მემარჯვენე ავტონომისტების რაზმებმა და ვრანგელის ჯარმა, რომელიც დაუზოგავად ხოცავდა 1923 წელს ბულგარეთის გლეხებს. ცანკოვმა გაანადგურა მუშათა კოოპერაცია, რომელიც ბულგარეთში ძლიერი იყო, აკრძალა კომპარტიის და მუშათა ფრაქციის არსებობა სახალხო კრებაში (პარლამენტი).



ჯ.ი.ო.ლ.ი.ტ.ტ.ი—დაიბადა 1842 წელს. იტალიის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე სხვადასხვა დროს, უკანასკნელად 1920—21 წლებში. ლიბერალურ დემოკრატების ბელადი.

—:—

ჰ.ა.ა.ზ.ე, გ.უ.გ.ო.—ექიმი, ბებელის მოწაფე. გერმანიის სოც.-დემოკრ. პარტიის ცენტრას წევრი და პარტიის ბელადთაგანი. 1919 წელს კონტრ-რევოლიუციონერებმა ჭურაში დასჭრეს, რისგანაც გარდაიცვალა.

ჰ.ა.რ.რ.ი.მ.ა.ნ.ი—ამერიკელი მილიარდერი. როკფელერთან ერთად მრავალი მდიდარი სამრეწველოები აქვს. მას ხელშია ავრეთვე მთელ მექსიკაში ნავთის დამუშავების საქმე.



ჰარრიმანმა კონცესია იყიდა პიათურის შავ ქვაზე.მან დაარღვია პირობები, რის შემდეგ ჩვენმა მთავრობამ ჩამოართვა მას პიათურის შავი ქვის დამუშავების საქმე.

ჰ.ე.გ.ლ.უ.ნ.დ.ი—შვეიცის კომპარტიის ყოფილი ბელადი, კომინტერნის მიერ 1924წ. პარტიიდან გარიცხული. პარტიაში მას რამდენიმე კაცი მომხრე აღმოაჩნდა და ამის შემდეგ შვეიცარიის პარტია კომინტერნის წინააღმდეგ სხვა საკითხებშიც. 1923 წლის დეკემბერში კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე ჰეგლუნდმა თანხმობა განაცხადა დამორჩილებოდა კომინტერნის აღმასკომის გადაწყვეტილებებს, მაგრამ შვეიცარიაში დაბრუნებისას განაგრძო ბრძოლა კომინტერნის წინააღმდეგ.



ჰეგლუნდი პროფესორია და მწერალი.

ჰ.ე.ნ.დ.ე.რ.ს.ო.ნ, ა.რ.ტ.უ.რ—დაიბადა 1863 წ. მაკდონალდის პირველ მთავრობაში შინაგან საქმეთა მინისტრათ იყო. ინგლისის მუშათა პარტიის წევრი. მინისტრათ დანიშვნამდე მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის თავჯდომარედ იყო. ახალგაზრდობაში ყალიბების ჩამომსხმელი იყო, შემდეგ კი ქალაქის თვითმმართველობაში მსახურობდა. პოლიტიკური მუშაობა დაიწყო ლიბერალების პარტიაში, შემდეგ კი მუშათა პარტიაში გადავიდა.



1903 წ. აირჩიეს წევრად პარლამენტში, სადაც მუშათა პარტიის ფრაქციის თავმჯდომარეობდა. ომის დროს შეუდგა ბურუჟუაზიულ მთავრობაში. რუსეთის რევოლიუციის წინა ხანებში მთავრობის დავალებით გაემგზავრა რუსეთში იმ მიზნით, რომ გაემხნევებია რუსეთის პატრიოტები. მუშათა პარტიის მემარჯვენე ბელადია და კომუნიზმის სასტიკი მტერი. 1916 წ. ინგლისის სასამართლომ საკვდილით დასაჯა ირლანდიელი რევოლიუციონერი ჯემს კონნოლი, ხოლო ჰენდერსონმა, რომელიც იმ ხანებში მინისტრად იყო, არავითარი ზომები არ მიიღო რევოლიუციონერის გადასარჩენად. როცა 1924 წ. ლონდონში ინგლისის კომპარტიის ყრილობა იყო, ჰენდერსონმა იმით ისახელა თავი, რომ ჯაშუშები შეიპარა ყრილობაზე. ლენინის სიკვდილის შემდეგ, როცა მტრებსაც კი თავი დახარეს უდიდეს ბელადის ხსოვნის წინაშე, ჰენდერსონმა გაზეთების წარმომადგენლებს ლენინის შესახებ შემდეგი განუცხადა: „მის შესახებ არაფრის თქმა შემიძლია, რადგან პირადათ არ ვიცნობდი“-ო.

ჰენდერსონი ამჟამად მაკდონალდის მთავრობაშია საგარეო საქმეთა მინისტრათ.

ჰ.ე.მ.პ.ე.რ.ს.ი, ს.ა.მ.უ.ე.ლ—ამერიკის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ეს რაზმები მოქმედებდენ 1919 წლის განმავლობაში. ანარქისტ - კომუნისტების მცირერიცხოვან ორგანიზაციის მეთაური. დაპატიმრებული იყო და მისჯილი აქვს მრავალი წლის ციხე. იყიდა ბრესლავლის ციხეში. საბჭოთა კავშირში არსებობს გელას სახელობის დიდი მანქანათა მშენებელი ქარხანა. გერმანიის და საერთაშორისო პროლეტარიატის დაუინებული მოთხოვნით ჰელი გათავისუფლეს 1928 წელს.



ჰ.ე.მ.პ.ე.რ.ს.ი, ს.ა.მ.უ.ე.ლ—ამერიკის სოციალისტური პარტიის რაფაქციონერი ბელადი და ამერიკის შრომის ფედერაციის და ახალგაზრდა ჭრისტიანთა თავმჯდომარე. იყო ომბაგის ქარხნის მუშა, ქარხანაში მუშაობას 44 წლის წინად თავი დაანება და შემდეგ მხოლოდ პროფესიონალურ დარგში მოღვაწეობდა. მუშათა კლასის ყველაზე უფრო მემარჯვენე ბელადი. ამ ბოლო დროს ყველაზე ინტერნაციონალის წინააღმდეგიც კი იყო. საბჭოთა კავშირის და კომინტერნის სასტიკი მტერი. გარდაიცვალა 1924 წ.



ჰეკკერტი, ფრიც—დაიბადა 1884 წ. გერმანიის კომპარტიის ცეკას წევრი. ხელობით ქვის მთლელია. ომის დროს და მის შემდეგ სდევნიდა მთავრობა და არა ერთხელ მჯდარა ციხეში. მხურვალე მონაწილეობას იღებს პროფინტერნის მუშაობაში.



ჰოლტსი, გენრიეტა—ცნობილი ჰოლანდიელი მწერალი ქალი. მუშა-ქალთა კავშირის ორგანიზატორი. მონაწილეობდა კომინტერნის მესამე ყრილობაში. თავის თავს სთვლის მემარცხენე კომუნისტად. მისი ახლო მონაწილეობით გამოდის მემარცხენე—კომუნისტური ჟურნალი „ახალი დღე".



ჰუვერი, გერბერტი—დაიბადა 1874 წ. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტი. რესპუბლიკანურ პარტიის წევრი. ინჟენერი. 1921 წ. თავმჯდომარეობდა საზოგადოება „არა"-ს, რომელიც საბჭოთა რუსეთში დამშეულთა დახმარებას და ამავე დროს ჯაშუშობას ეწეოდა და კონტრრევოლიუციონერებს დახმარებას უწევდა.



ჰუერტა, ადოლფი—ამერიკის იმპერიალიზმის აგენტი, მექსიკის ოპოზიციის ბელადი. 1913 წელს ამერიკის მთავრობის დავალებით აჯანყება მოაწყო მექსიკის მთავრობის და ობრეგონის წინააღმდეგ, მაგრამ სასტიკად დამარცხდა და ტყვალოდ გაჭრა.

ჰინდენბურგი—გერმანიის ჯარის ყოფილი მთავარსარდალი მსოფლიო ომის დროს. ფაშისტი. ეხლა გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ამხ. გლეხებო!

გამოიწერეთ თქვენი გაზეთი

„ახალი სოფელი“

ყველა მშრომელი გლეხი უნდა კითხულობდეს გაზეთ

„ახალ სოფელს“!

ყველა ხელისმოწერი მიიღებს უფასო დამატებას--იუმორისტულ ჟურნალს „შოლტს“ და „ახალი სოფლის ბიბლიოთეკას“.

უჩქარეთ ხელისმოწერას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა და გამოვიდა

1. გ. ჭუჭიშვილი—ბრძოლის და შრომის სიმღერები.
2. მოთხრობები—ნოე ჯომლეთელის და ს. ერთაწმინდელის.
3. სერგო კლდიაშვილი—ცაცინო გურიელი

o 984 b
1929